რ. აბრამიშვილი

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის

სამთავროს სამაროვანი დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იქცევს. როგორც ცნობილია, ამ სამაროვანზე ქრონოლოგიურად ერთმანეთის მონაცვლე სხვადასხვა ტიპის სამარხებია აღმოჩენილი. ყველაზე უძველესია ყორღანული სამარხები. მათ მოსდევს ქრონოლოგიურად ერთმანეთის მონაცვლე სხვა ტიპის სამარხები: ორმოსამარხები, ქვევრსამარხები, კრამიტყუთები და ქვაყუთები. წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ხანაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მიცვალებულებს ორმოსამარხებში მარხავდნენ.

სამთავროს სამაროვნის პირველი გამთხრელი, ავსტრიელი მეცნიერი ფრ. ბაიერნი, ამ სამაროვნის ორმოსამარხებს, სხვა ტიპის სამარხთა შორის, რომელიც იმ დროისათვის იყო აღმოჩენილი, სრულიად სამართლიანად ყველაზე ადრეულად მიიჩნევს[1] და მათ რკინის ხანის დასაწყისით ათარიღებს[2]. ამ სამარხების აბსოლუტური თარიღის შესახებ ფრ. ბაიერნი გარკვევით არაფერს ამბობს. თავის ერთ-ერთ შრომაში ფრ. ბაიერნი აღნიშნავს, რომ სამთავროს სამაროვანის ორმოსამარხები, რომლებსაც ის, მათი სტრატიგრაფიული განლაგების გამო, ქვედა სართულის სამარხებს უწოდებს, მიეკუთვნებიან კასპიელების მიერ მიდიელების დაპყრობის ხანაზე რამდენიმე საუკუნით უფრო ადრეულ პერიოდს[3]. სხვა შრომაში კი ის გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სამთავროს სამაროვნის ქვედა სართულის სამარხები ასი წლით უფრო ახალგაზრდა უნდა იყოს, ვიდრე რედკინის ბანაკის სამაროვანი[4], რომელსაც ის ბრინჯაოს ხანის დასასრულს მიაკუთვნებს. კავკასიაში იმ დროისათვის აღმოჩენილ სამაროვნებიდან, ფრ. ბაიერნის აზრით, ყველაზე უფრო ადრეულია რედკინის ბანაკის სამაროვანი. მასზე მოგვიანოდ მას მიაჩნია სამთავროს ორმოსამარხები, შემდეგ—ყობანის სამაროვნის ქვედა სართულის სამარხები, ხოლო ყველაზე ახალგაზრდად—ყაზბეგში აღმოჩენილი ძეგლები[5].

---

[1] შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხი მცხეთის ექსპედიციის მიერ იქნა აღმოჩენილი.

[2] Fr. Bayern, Bemerkungen und Ansichten über den Kaukasus, und seine vorhistorischen Verhältnisse, seine Völker und deren Industrie; Verhandlungen der Berliner Gesellschaft für Anthropologie, Ethnologie und Urgeschichte, Berlin, 1882, გვ. 326—354.

[3] Fr. Bayern, Contribution a'lárchéologie du Caucase, Lyon, 1882, გვ. 26.

[4] Fr. Bayern, Untersuchungen über die ältesten Gräber—und Schatzfunde in Kaukasien: Zeitschrift für Ethnologie, Supplement, Berlin, 1885, გვ. 31.

[5] Fr. Bayern, Bemerkungen und Ansichten über den Kaukasius und sein vorhistorischen Verhältnisse, seine Völker und deren Industrie, VBGAEU, Berlin, 1882, გვ. 327.

დ. ანუჩინი ეყრდნობა ფრ. ბაიერნის მიერ მისდამი მიწერილ წერილებს და თავის შრომაში „Доисторическая археология Кавказа“ მოყავს ფრ. ბაიერნის მოსაზრება, სადაც ის სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ორმოსამარხებს ძვ. წ. 2000 წლით ათარიღებს[1].

ერ. შანტრი არ იზიარებს ფრ. ბაიერნის მიერ ზემოთ აღნიშნული სამაროვნებისათვის მოცემულ შედარებით დათარიღებას და ყველა მათგანს რკინის ხანის უძველეს პერიოდს მიაკუთვნებს. მისი აზრით, უეჭველია, რომ ეს სამაროვნები მიეკუთვნება ამ პერიოდის სხვადასხვა მონაკვეთს, მაგრამ არ არის არავითარი საფუძველი რომელიმე ამ სამაროვანთაგანი ბრინჯაოს ხანით დათარიღდეს[2].

რ. ვირხოვის აზრით, ყობანის სამაროვანი უფრო ადრეულ ხანას მიეკუთვნება, ვიდრე რედკინის ბანაკის სამაროვანი. რედკინის ბანაკის სამაროვანზე უფრო ახალგაზრდად კი იგი სამთავროს სამაროვანს თვლის. ამ სამივე სამაროვანს რ. ვირხოვი რკინის ხანის დასაწყისს მიაკუთვნებს და ყველაზე უძველესს, ყობანის სამაროვანს, ძვ. წ. XI—X საუკუნეებით ათარიღებს[3].

საბჭოთა მკვლევარებიდან სამთავროს სამაროვნის ორმოსამარხები პირველად პროფ. გ. ნიორაძემ დაათარიღა. ამ საკითხს პროფ. გ. ნიორაძე ზემო ავჭალაში აღმოჩენილი ბოლოკვეთილი ბრინჯაოს მახვილის შემცველი სამარხის დათარიღებისას ეხება[4]. პროფ. გ. ნიორაძე ზემო ავჭალის სამარხის დათარიღებისათვის იხილავს ფრ. ბაიერნის მიერ სამთავროს სამაროვანზე გათხრილ № 591 ორმოსამარხის ინვენტარს, რომელშიც ზემო ავჭალის სამარხში მოპოვებული ბოლოკვეთილი ბრინჯაოს მახვილის ესგავსი მახვილია აღმოჩენილი[5]. № 591 ორმოსამარხს პროფ. გ. ნიორაძე მასში აღმოჩენილი ბრინჯაოს მშვილდსაკინძისა და ე. წ. აღმოსავლეთამიერკავკასიული და ბრტყელი ცულების საშუალებით ათარიღებს. მისი დათარიღებისათვის პროფ. გ. ნიორაძე ძირითადად ბრინჯაოს მშვილდსაკინძს იყენებს.

პროფ. გ. ნიორაძეს ისევე, როგორც ბევრ სხვა მკვლევარს, მშვილდსაკინძების სამშობლოდ სამხრეთ ევროპა მიაჩნია. იგი ეყრდნობა ი. უნდესტს და მ. ჰიორნესს და მიკენში აღმოჩენილ უპრიმიტიულეს ვიოლინოს ქამანჩისებურ საკინძს ძვ. წ. XIV საუკუნისად თვლის[6].

პროფ. გ. ნიორაძის აზრით № 591 ორმოსამარხში აღმოჩენილი მშვილდსაკინძი ამ სახის საკინძთა შედარებით განვითარებულ ტიპს წარმოადგენს და რამდენადმე დაშორებულია თავისი წარმოშობის ცენტრს. ამიტომ, მისი შეხედულებით, ეს მშვილდსაკინძი და ის სამარხი, რომელშიც იგი აღმოჩნდა, ძვ. წ.

---

[1] Д. Анучин, Доисторическая археология Кавказа; Журнал Министерства Народного Просвещения, часть CCXXXI, СПб, 1884, გვ. 206.

[2] Ern. Chantre, Recherches anthropologiques dans le Caucase, t. II, Paris—Lyon, 1886, გვ. 185—186.

[3] R. Virchow, Das Gräberfelb von Koban im Lande der Osseten, Kaukasus, Berlin, 1883, გვ. 19—20, 42.

[4] გ. ნიორაძე, ზემო ავჭალის სამარე, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VI, ტფილისი, 1931, გვ. 202—203.

[5] В. Выбуров, Предметы древности в хранилище „Общества Любителей Кавказской Археологии“, Тифлис, 1877, გვ. 29—30; Fr. Bayern, Untersuchungen über die ältesten Gräber—und Schatzfunde in Kaukasien; ZE, Supplement, Berlin, 1885, გვ. 36.

[6] გ. ნიორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 202—203.

XIV—XIII საუკუნეზე უფრო ადრინდელ ხანას ვერ მიეკუთვნება. პროფ. გ. ნიორაძის აზრით, ამ თარიღს ამაგრებს იმავე ორმოსამარხში აღმოჩენილი აღმოსავლეთამიერკავკასიული ტიპის ბრინჯაოს ცული, რომლის მსგავსი, როგორც ის ამბობს, „ხეთთების მეფის ფიგურაზე არის მოცემული და რომელიც დაახლოვებით ამავე დროს, XIV—XIII საუკუნეს ეკუთვნის". მისივე აზრით, იგივე ხანით თარიღდება ამ სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ე. წ. ბრტყელი ცული[1].

ქრ. ბლინკენბერგი, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ბერძნული და აღმოსავლური ე. წ. ფიბულების შესწავლას, საბერძნეთში და კრეტაზე აღმოჩენილ ნაიევარწრისებურ მშვილდის მქონე საკინძებს ძვ. წ. XII—X საუკუნეებით ათარიღებს. ვიოლინოს ქამანჩისებური საკინძების ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად კი მას ძვ. წ. XIV საუკუნე მიაჩნია[2].

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კავკასიაში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები თავის ფორმას, მართლაც, საბერძნეთში გავრცელებულ მშვილდსაკინძებისაგან იღებენ[3], მაშინ ცხადია, რომ პროფ. გ. ნიორაძის მიერ ბაიერნისეულ № 591 ორმოსამარხისათვის დადგენილი თარიღის ქვედა საზღვარი რამდენადმე დასაზუსტებელია. საბერძნეთში აღმოჩენილი მშვილდისებურრკალიანი საკინძების ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი ძვ. წ. XII საუკუნეა და, რა თქმა უნდა, საქართველოში აღმოჩენილი ამ ტიპის საკინძები, რომლებიც თავის ფორმას ბერძნული მშვილდსაკინძებიდან იღებენ, ძვ. წ. XII საუკუნეზე უფრო ადრეული ხანისა არ შეიძლება იყოს. რაც შეეხება ე. წ. აღმოსავლურამიერკავკასიული ტიპის ბრინჯაოს ცულს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ცულები დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთზე გვხვდება[4]. ამიტომ, ბოლაზ-კეოის ბაელიეფზე გამოსახული ცულისა და ე. წ. აღმოსავლურამიერკავკასიული ტიპის ბრინჯაოს ცულების გენეტიკური კავშირი, თუნდაც რომ უდავოდ მივიჩნიოთ, ვფიქრობთ, ამ ტიპის ცულების მეტნაკლებად ზუსტი დათარიღებისათვის ბოლაზ-კეოის ბარელიეფის თარიღი მაინც არ გამოგვადგება.

დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთზე გვხვდება ბრინჯაოს ე. წ. ბრტყელი ცულებიც.

ამდენად, № 591 ორმოსამარხისათვის გ. ნიორაძის მიერ მოცემულ ქვედა ქრონოლოგიურ თარიღის დაზუსტებას აქვე აღმოჩენილი ბრინჯაოს ცულები ხელს არ უშლის.

---

[1] გ. ნ ი ო რ ა ძ ე, ზემო-ავჭალის სამარე, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV. ტფილისი 1931, გვ. 203.

[2] Chr. B l i n k e n b e r g, Fibules Grecques et Orientales: Det Kdt. Danske Videnskabernes Selskab. Historisk—filologiske Meddelelser, XIII, 1, Kobenhavn, 1926, გვ. 17, 20—21, 59—66.

[3] კავკასიური მშვილდსაკინძების პროტოტიპად არა ერთ მკვლევარს მიაჩნია ბერძნული, მშვილდსაკინძები: I n g r. U n d e s t, Zu den ältesten Fibeltypen, ZE, Berlin, 1889, გვ. 213—215; Fr. Hančar, Kaukasus—Luristan, ESA, IX, Helsinki, 1934, გვ. 89; გ. ნ ი ო რ ა ძ ე, ზემო ავჭალის სამარე, საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტ. VI, ტფილისი, 1931, გვ. 202—203; ნ. ა. კ უ ფ ტ ი ნ, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии; საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ.XII—B, თბილისი, 1944, გვ. 316; მისივე, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, გვ. 72.

[4] გ. ფ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები, თბილისი, 1942, გვ. 142 (ხელნაწერი); დ. ქ ო რ ი ძ ე, გვიანბრინჯაოს ხანის ეთნოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნაკვთლული), საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII—B, თბილისი, 1955, გვ. 204.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. გ. ნიორაძე სამთავროს სამაროვანზე არ გამოყოფდა ე. წ. გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის ხანის სამარხებს. პროფ. გ. ნიორაძე ბაიერნისეულ № 591 ორმოსამარხს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ერთ-ერთ ყველაზე უძველეს სამარხად თვლიდა და სამთავროს სამაროვნის ყველა ორმოსამარხის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად ამ სამარხისათვის დადგენილ ძვ. წ. XIII საუკუნეს მიიჩნევდა[1].

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხებიდან ე. წ. გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის ორმოსამარხები პირველად გამოყო სამთავროს სამაროვნის ჩრდილოეთი უბნის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელმა ალ. კალანდაძემ[2]. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხები ალ. კალანდაძემ ორ დიდ ქრონოლოგიურ ჯგუფად გაყო. პირველ ჯგუფში გააერთიანა ე. წ. გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის დროინდელი ორმოსამარხები, მეორე ჯგუფში კი უფრო გვიანი ხანის ყველა სხვა ორმოსამარხი მოაქცია.

ალ. კალანდაძის მიერ მოცემული გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის ორმოსამარხების დახასიათება შემდეგ რამდენადმე შეასწორეს და დააზუსტეს სხვა მკვლევარებმა. ასე მაგალითად: კალანდაძეს აღნიშნული აქვს, რომ გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის სამარხებში მხოლოდ ბრინჯაო გვხვდება, რკინა კი სულ უმნიშვნელო პროცენტით არის წარმოდგენილი[3]. გ. ლომთათიძე კი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ ხანის ორმოსამარხებში სამთავროს სამაროვანზე რკინის ნასახიც კი არ არის[4].

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ე. წ. გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის სამარხებს ალ. კალანდაძე სამთავროს ჩრდილოეთი ჯგუფის მიერ 1938—1939 წლებში ჩატარებული მუშაობის წინასწარ ანგარიშში ძვ. წ. XIII—X საუკუნეებით ათარიღებს[5], ხოლო საკუთრივ რკინის ხანის სამარხების ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად ძვ. წ. IX საუკუნეს მიიჩნევს. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ყველა ორმოსამარხს კი ალ. კალანდაძე ძვ. წ. XIII—V საუკუნეებს აკუთვნებს[6].

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხების თარიღს ეხება პროფ. ბ. კუფტინიც თრიალეთში აღმოჩენილი ძეგლების პერიოდიზაციისას.

---

[1] C. Nioradze, Der Verwahrfund von Kvemo-Sasirethi (Georgien, Rayon Kaspi), ESA, VII, Helsinki, 1932, გვ. 82—97; მისივე, არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XIII—B, თბილისი, 1944, გვ. 210—211.

[2] ალ. კალანდაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ჩრდილოეთის ჯგუფის მიერ 1938—1939 წწ. წარმოებული მუშაობის მოკლე ანგარიში, თბილისი, 1940, გვ. 105—107 (ხელნაწერი).

[3] ალ. კალანდაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 106.

[4] გ. ლომთათიძე, მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის ჩრდილო ჯგუფის 1940 წ. მუშაობის წინასწარი მოკლე ანგარიში (ხელნაწერი), გვ 74.

[5] А. Н. Каландадзе, Краткий предварительный отчёт о работе северной группы Мцхетской археологической экспедиции за 1938—39 гг. (Резюме), გვ. 33 (ხელნაწერი).

[6] А. Н. Каландадзе, Периодизация памятников Самтавро. შრომის ანოტაცია მოთავსებულია: Научная Сессия ИИМК АН СССР и Государственного Эрмитажа, посвящённая археологии Закавказья (Составлена В. А. Миханковой по материалам сессии), КСИИМК, XXIV, М—Л., 1949, გვ. 5.

1938—39 წლებში ჩატარებული ექსპედიციის ანგარიშში ალ. კალანდაძე სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ორმოსამარხების ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად ძვ. წ. VI საუკუნეს მიიჩნევს (ალ. კალანდაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ჩრდილოეთის ჯგუფის მიერ 1938—39 წწ. წარმოებული მუშაობის მოკლე ანგარიში (ხელნაწერი), გვ. 115). ალ. კალანდაძის მიერ მოწოდებულ სამთავროს ორმოსამარხების თარიღებს იძლევიან აგრეთვე სამთავროს სამაროვნის მასალებზე მომუშავე სხვა მკვლევარებიც: ზ. მაისურაძე, სამთავროს ორმოსამარხე-

პროფ. ბ. კუფტინი არ ითვალისწინებს ალ. კალანდაძის მიერ სამთავროს სამაროვანის ორმოსამარხებიდან გამოყოფილ ე. წ. გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ორმოსამარხებს და ბეშთაშენის ე. წ. გვიანი ბრინჯაოს ხანის და რკინის პირველი გამოჩენის ხანის სამარხებს სამთავროს ორმოსამარხებზე უფრო ადრეულად თვლის. ბეშთაშენის სამაროვანის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად კი პროფ. ბ. კუფტინს ძვ. წ. XII—XI საუკუნეების მიჯნა მიაჩნია[1].

პროფ. ბ. კუფტინი სამთავროს სამაროვანზე მსჯელობისას მხოლოდ ფრ. ბაიერნის მიერ გათხრილ ძეგლებს ეყრდნობა. მათ შორის მასში უძველესად მიაჩნია ბრინჯაოს მშვილდსაკინიების შემცველი № 591 და № 606 ორმოსამარხები და მათი თანადროული სხვა სამარხები[2]. ამ სამარხებს კი, კერძოდ № 591 ორმოსამარხს, პროფ. ბ. კუფტინი ურარტუს სამეფოს დროით ათარიღებს[3]. აღსანიშნავია, რომ პროფ. ბ. კუფტინი თეთრი ცილინდრისებური მძივების საშუალებით ურარტუს სამეფოს ხანითვე ათარიღებს ბაიერნის მიერ გათხრილ № 565 ორმოსამარხსაც[4].

პროფ. ბ. კუფტინის აზრით, თეთრი ცილინდრისებური მძივები ე. წ. დომინოსებური მძივების თანადროულია. ამ მძივების წარმოების ცენტრად კი მას თრიალეთი მიაჩნია. ამიტომ, მისი აზრით, ისინი სხვაგან და, კერძოდ, სამთავროს სამაროვანზეც ვერ აღმოჩნდებოდნენ ურარტუს ხანაზე უფრო ადრეული ხანის სამარხებში[5].

ა. მარტიროსიანი სოფ. გოლოვინოში აღმოჩენილი ძეგლების დახასიათებისას არ ეთანხმება პროფ. კუფტინს იმაში, რომ ე. წ. დომინოსებური მძივები მარტო თრიალეთისათვის იყოს დამახასიათებელი და სრულიად სამართლიანად ფრ. ბაიერნის მიერ გათხრილ № 565 ორმოსამარხს თრიალეთში აღმოჩენილი ე. წ. დომინოსებური მძივების შემცველ სამარხებზე უფრო ადრეულად მიიჩნევს[6].

მართლაც № 565 ორმოსამარხის ადრეულობაზე უნდა მიგვითითებდეს მასში აღმოჩენილი თავხვია ქინძისთავი[7], რომელიც გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი[8].

ბის შავი და რუხი კრიალა ჭურჭლის ტექნოლოგია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, № 4, თბილისი, 1952, გვ. 249; Г. Г. Леммлейн, Каменные бусы самтаврского могильника, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 29, თბილისი, 1951, გვ. 185, 188 და შემდ.; М. Г. Абдушелишвили, К палеоантропологии Самтаврского могильника. Тбил., 1954, გვ. 14. აქ ავტორი, ალ. კალანდაძის მიხედვით, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლებს ათარიღებს ძვ. წ. XIII—X საუკუნეებით (შეესატყვისება ე. წ. გვიანი ბრინჯაოს ადრეულ ეტაპს), ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ ხანის ძეგლებს ძვ. წ. X—IX საუკუნეებით (შეესატყვისება ძირითადად გვიანი ბრინჯაოს გვიანი ეტაპის დროინდელ ძეგლებს), ხოლო საკუთრივ რკინის ხანის ძეგლებს ძვ. წ. VIII—IV საუკუნეებით.

[1] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, გვ. 69—70.

[2] იქვე, გვ. 67—70.

[3] იქვე, გვ. 52.

[4] იქვე, გვ. 57.

[5] იქვე, გვ. 57.

[6] А. И. Мартиросян, Раскопки в Головино, Ереван, 1954, გვ. 85.

[7] В. Вырубов, Предметы древности в хранилище Общества Любителей Кавказской Археологии, Тифлис, 1877, გვ. 27, ტაბ. № VI, 9.

[8] ნ. ოქროპირიძე, ბრინჯაოს თავხვია საკინძები სამთავროს ორმოსამარხებიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბილისი, 1951.

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხების დათარიღების საკითხს არა ერთ თავის ნაშრომში ეხება გ. ლომთათიძე. თავის მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევში, რომელშიც მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგებია მოცემული, გ. ლომთათიძემ გაიზიარა სამთავროს ორმოსამარხების ის თარიღი, რომელსაც ალ. კალანდაძე იძლევა და ეს ორმოსამარხები ძვ. წ. XIII—V საუკუნეებით დაათარიღა[1].

გ. ლომთათიძე სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხების დათარიღების საკითხს საკმაოდ ფართოდ ეხება ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომში „ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში". ამ ნაშრომში გ. ლომთათიძემ პირველმა გამოყო სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხებიდან „ბრინჯაოს ტარიანი სატევრებისა" და „ბრინჯაოს ტარიანი ბრტყელი მახვილების" ფენა და იგი ე. წ. ფოთლისებური ბრინჯაოს სატევრებისა და ე. წ. სკვითური ინვენტარის შემცველ ორმოსამარხებს შორის მოაქცია. გარდა ამისა, გ. ლომთათიძემ „ბრინჯაოს სატევარ-მახვილების" ფენიდან, სამუშაო ჰიპოთეზის სახით, ქრონოლოგიურად ცალკე გამოყო შედგენილტარიანი ბრინჯაოს სატევრის შემცველი ორმოსამარხი (ორმოსამარხი № 44, სამხრეთი უბანი, 1938 წ.). იგი ამ სამარხს ე. წ. ფოთლისებური ბრინჯაოს სატევრებისა და ბრინჯაოს სატევარ-მახვილების შემცველ ორმოსამარხებს შორის აქცევს. გ. ლომთათიძე სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ სამარხის გარდამავალ ხასიათზე მიგვითითებს, როგორც მასში აღმოჩენილი ინვენტარის ნარევი ხასიათი (ჩვენ ამ სამარხში ვხვდებით, როგორც ფოთლისებური სატევრებია ფენისათვის დამახასიათებელ ინვენტარს, ისე შედარებით გვიანი სამარხებისათვის დამახასიათებელ ინვენტარსაც), ისე მასში აღმოჩენილი ბრინჯაოს სატევრის კონსტრუქცია და მისი ქიმიური შედგენილობა[2]. გ. ლომთათიძემ ბრინჯაოს ტარიანი მახვილების ჯგუფიდან ცალკე გამოყო აგრეთვე ე. წ. წვეტიანი ბრინჯაოს მახვილების შემცველი № 51 და № 211 ორმოსამარხები და ამ სამარხებში აღმოჩენილი რკინის ნივთების სიმრავლის გამო ისინი სხვა სატევარ—მახვილების შემცველ სამარხებზე უფრო მოგვიანოდ მიიჩნია[3].

იმის გამო, რომ ბრინჯაოს სატევარ—მახვილების შემცველ სამარხებში ე. წ. სკვითური ტიპის ისრისპირები არ გვხვდება, გ. ლომთათიძე ამ სამარხების ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად ძვ. წ. VII საუკუნეს მიიჩნევს[4]. ქვედა ქრონოლოგიური საზღვრის დადგენისას კი იგი თავის ამ შრომაში სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა თარიღს იძლევა. ასე მაგ., ქრონოლოგიურ სქემაზე ბრინჯაოს სატევარ—მახვილების შემცველი სამარხების ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად ძვ. წ. XIII საუკუნე აქვს მოცემული[5], ხოლო ტექსტში იგივე სამარხებს ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნით ათარიღებს[6]. იგივე უნდა ითქ-

---

[1] გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბილისი, 1944, გვ. 26.

[2] გ. ლომთათიძე, ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში, თბილისი, 1944, (ხელნაწერი), გვ. 160—168.

[3] იქვე, გვ. 336, 345.

[4] იქვე, გვ. 344—346, 355—356.

[5] იქვე, გვ. 364.

[6] იქვე, გვ. 344, 355—356.

ვას ე. წ. ფოთლისებური ბრინჯაოს სატევრების შემცველი ორმოსამარხების თარიღის შესახებაც. ამ სამარხებს გ. ლომთათიძე ტექსტში ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო ორიოდე საუკუნით ათარიღებს[1], სამთავროს უძველეს სამარხთა ქრონოლოგიურ სქემაზე კი—ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით, ანუ უფრო ზუსტად—II ათასწლეულის მეორე ნახევრის პირველი ორი საუკუნით[2].

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გ. ლომთათიძე 1955 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევში „Археологические раскопки в древнегрузинской столице Мцхета" სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხებისათვის იგივე თარიღებს იძლევა, რაც მას 1944 წელს გამოცემულ ნარკვევში აქვს მოცემული[3].

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხების დათარიღების საკითხს შეეხო პროფ. ბ. პიოტროვსკიც. როგორც ცნობილია, პროფ ბ. პიოტროვსკის არა ერთ თავის შრომაში აქვს გამოთქმული მოსაზრება, რომ ამიერკავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, რკინის მეტალურგია ისახება და ვითარდება ვანის სამეფოს გავლენით[4]. ამდენად უძველესი რკინის ნივთების შემცველი ძეგლები საქართველოში, მათ შორის სამთავროს სამაროვანზე ფრ. ბაიერნის მიერ გათხრილი № 591 ორმოსამარხიც, მას ვანის სამეფოს ხანით, ძვ წ. VIII—VII საუკუნეებით აქვს დათარიღებული[5]. თუ რამდენად მართებულია პროფ. ბ. პიოტროვსკის მიერ ზემოთ მოტანილი შეხედულებები. ამის შესახებ აღნიშნული გვაქვს ჩვენს მოხსენებებში[6]. ამჯერად აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქ. ერევანში, 1956 წელს კავკასიის არქეოლოგთა კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში პროფ. ბ. პიოტროვსკიმ ამიერკავკასიაში აღმოჩენილი უძველესი რკინის ნივთების შემცველი ძეგლების თარიღები ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებიდან ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო ხანებში გადაიტანა, ხოლო რკინის ფართო ათვისების ხანა--ძვ. წ. IX საუკუნეში[7].

---

[1] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბილისი, 1944. გვ. 344, 355—356.

[2] იქვე, 364.

[3] Г. А. Л о м т а т и д з е, Археологические раскопки в Мцхета, Тбилиси, 1955, გვ. 45—45.

[4] Б. Б. П и о т р о в с к и й, История и культура Урарту, Ереван, 1944, стр. 186; მისივე, Основные итоги и проблемы археологического изучения Закавказья; Научная сессия Института истории материальной культуры и Гос. Эрмитажа, посвященная археологии Закавказья, Ленинград, 1949, გვ. 42—43; მისივე, Археология Закавказья, Ленинград, 1949, გვ გვ. 111, 115—116; მისივე, Кармир-блур, II, Ереван, 1950. გვ. 87—88; მისივე, Скифы и древний Восток. Советская археология, Москва, 1954, გვ. 144.

[5] Б. Б. П и о т р о в к и й, Археология Закавказья, Ленинград, 1949. გვ. 62—63.

[6] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, რკინის წარმოების საკითხისათვის ძველ საქართველოში, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა IV სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, თბილისი, 1953, გვ 36—37; მისივე, К вопросу об освоении железа на территории Восточной Грузии (მოხსენება 1956 წ ოქტომბრის 25-ს წაკითხულ იქნა ქ. ერევანში კავკასიის არქეოლოგთა კონფერენციაზე).

[7] Б. Б. П и о т р о в с к и й, Закавказье и Древний Восток. რკინის ფართო ათვისების ხანას პროფ. ბ. პიოტროვსკი ამ მოხსენების თეზისებში, ნაცვლად ძვ. წ. IX ს., როგორც ეს მას ჰქონდა აღნიშნული მოხსენებაში, ძვ. წ. VIII—VII სს. იწყებს. იხ. Тезисы докладов на пленарных заседаниях конференции по археологии, состоящейся в Ереване в октябре 1956 г., გვ. 4—5.

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხების დათარიღების საკითხს, ე. წ. კოლხური კულტურის დათარიღებისას, შეეხო ო. ჯაფარიძეც. როგორც ცნობილია, სამთავროს სამაროვანზე №№ 121, 208 და 260 ორმოსამარხებში აღმოჩენილია თითო კოლხური ცული. №№ 208 და 260 ორმოსამარხებს ო. ჯაფარიძე ზემო ავჭალაში გ. ნიორაძის მიერ გათხრილი სამარხის თანადროულად თვლის და იზიარებს რა პროფ. გ. ნიორაძის მიერ ზემო ავჭალის სამარხისათვის მოცემულ თარიღს, №№ 208 და 260 ორმოსამარხების ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად ძვ. წ. XIII საუკუნეს მიიჩნევს. № 121 ორმოსამარხი კი იმის გამო, რომ მასში დიდი რაოდენობით გვხვდება რკინის ნივთები, ო. ჯაფარიძეს რკინის ხანის დასაწყისამდე მოყავს და ძვ. წ. VIII საუკუნით ათარიღებს[1].

№ 121 ორმოსამარხისათვის ო. ჯაფარიძის მიერ მოცემული თარიღი ჩვენ სწორად მიგვაჩნია, ხოლო, რაც შეეხება №№ 208 და 260 ორმოსამარხებს, უნდა ითქვას, რომ, ჯერ—ერთი, როგორც გვქონდა უკვე აღნიშნული, პროფ. გ. ნიორაძის მიერ ზემო ავჭალის სამარხისათვის დადგენილი თარიღი რამდენადმე დაზუსტებას საჭიროებს, მეორეც, № 260 ორმოსამარხი № 208 ორმოსამარხისა და ზემო ავჭალის სამარხის თანადროული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ № 260 ორმოსამარხში არცერთი რკინის ნივთი არ არის აღმოჩენილი, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ეს სამარხი რკინის ფართო ათვისების ხანას მიეკუთვნება და ის ბევრად უფრო გვიანი ხანისა უნდა იყოს, ვიდრე № 208 და ზემო ავჭალის ორმოსამარხები. ამას ადასტურებს № 260 ორმოსამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭდეულზედაპირიანი სამაჯურები და ბეჭდები, ქარვის მძივები და სხვა ნივთები, რომლებიც მარტო რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხებში გვხვდება[2].

გ. გობეჯიშვილი თავის ნაშრომში „არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში“ იზიარებს ალ. კალანდაძის მიერ სამთავროს ორმოსამარხებისათვის დადგენილ თარიღს და ამ ორმოსამარხებს ძვ. წ. XIII—V საუკუნეებით ათარიღებს. ხოლო ამ ორმოსამარხებიდან გამოყოფილ ე. წ. გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის სამარხებს ძვ. წ. XIII—X საუკუნეებისად ჰიიჩნევს[3].

იგივე თარიღებს იძლევა სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხებისათვის ტ. ჩუბინიშვილი თავის ნაშრომში „Древнейшие грунтовые погребения Самтаврского могильника“[4].

შემდეგ ტ. ჩუბინიშვილი ცვლის სამთავროს სამაროვნის ორმოსამარხისათვის დადგენილ ამ თარიღებს და გვიანი ბრინჯაოს სამარხებისათვის ქვედა

---

[1] ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI—B, თბილისი, 1950, გვ. 83—85; მისივე, Бронзовые топоры Западной Грузии (К вопросу о ведущих типах орудии позднебронзовой культуры), Советская археология, XVIII, 1953, გვ. 299—300.

[2] სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ № 260 ორმოსამარხს დ. ქორიძეც მსგავსად ო. ჯაფარიძისა, განვითარებულ ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნებს და ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით ათარიღებს. იხ. დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1955, გვ. 207.

[3] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის სერია, თბილისი, 1952, გვ. 74.

[4] Т. Н. Чубинишвили, Древнейшие грунтовые погребения Самтаврского могильника, КСИИМК, вып. XLVI, Москва, 1952, გვ. 54—55.

ქრონოლოგიურ თარიღად ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებს თვლის[1]. ხოლო შუა ბრინჯაოს ხანის № 243 ყორღანული სამარხისა და გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ხანის სამარხების ინვენტარის განხილვისა და მათი საქართველოში და სხვა ქვეყნებში მოპოვებულ მასალებთან შედარების შედეგად, გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის სამარხების ქვედა ქრონოლოგიურ თარიღად ძვ. წ. XV საუკუნეს მიიჩნევა[2].

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხების დათარიღების საკითხს შეეხო დ. ქორიძეც. დ. ქორიძე სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ გ. ლომთათიძის მიერ ბრინჯაოს სატევარ-მახვილების არსებობისათვის დადგენილი თარიღები რამდენადმე დაზუსტებას მოითხოვს და, რომ გ. ლომთათიძის მიერ მათთვის მოცემული დროის მონაკვეთში, ცალკე დამოუკიდებელი ფენების გამოყოფაც შეიძლება. გ. ლომთათიძისეული ბრინჯაოს სატევარ-მახვილების ფენიდან დ. ქორიძე ცალკე გამოყოფს ბრინჯაოს ე. წ. აღმოსავლურქართული ტიპის სატევრების შემცველ სამარხებს და მათ ბრინჯაოს მახვილების შემცველ სამარხებზე უფრო ადრეულად მიიჩნევს. ბრინჯაოს სატევრების შემცველ ამ კომპლექსებს დ. ქორიძე ძვ. წ. XII—XI საუკუნეებით ათარიღებს[3].

ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია, რომ ზოგიერთი ბრინჯაოს ე. წ. აღმოსავლურქართული ტიპის სატევარი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ბრინჯაოს მახვილების არსებობას.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, სამთავროს სამაროვნის სამხრ. უბანზე აღმოჩენილი № 44 ორმოსამარხის მაგალითზე გ. ლომთათიძემ, სამუშაო ჰიპოტეზის სახით, პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ე. წ. აღმოსავლურქართული ტიპის შედგენილტარიანი სატევრები ქრონოლოგიურად წინ უნდა უსწრებდნენ მთლიანადსხმულ ბრინჯაოს სატევარ-მახვილებს. დ. ქორიძემ უყურადღებოდ დატოვა გ. ლომთათიძის მიერ გამოთქმული ეს დაკვირვება, არ განასხვავა შედგენილტარიანი და მთლიანადსხმული სატევრები ერთმანეთისაგან და ყველა მათგანი მთლიანადსხმულ სატევრად მიიჩნია.

ამ გარემოებას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ შედგენილტარიანი ბრინჯაოს სატევრები, მართლაც, წინ უნდა უსწრებდნენ მთლიანადსხმულ ბრინჯაოს სატევრებს და დ. ქორიძე ბრინჯაოს სატევრების ბრინჯაოს მახვილებთან შედარებით ადრეულობის დასამტკიცებლად სწორედ შედგენილტარიანი სატევრების კომპლექსებს ეყრდნობა[4]. ჩვენი აზრით, ზოგიერთი მთლიანადსხმული სატევარიც უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე ბრინჯაოს მახვილები (მაგალითად: სამთავროს სამაროვნის ჩრდ. უბანზე გათხრილი №№ 87,

---

[1] ტ. ჩუბინიშვილი, შიდა ქართლის გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურის ადრეული ეტაპის ისტორიისათვის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაწერი), თბილისი, 1953, გვ. 267—270. მისივე, К истории культуры раннего этапа позднебронзовой эпохи Шида Картли, автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1954. გვ. 16—17.

[2] ტ. ჩუბინიშვილი, სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 270—274; მისივე, სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი, გვ. 16—17; მისივე, სამთავროს ყორღანული სამარხი № 243, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 19—23.

[3] დ. ქორიძე, გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლული). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII—B, თბილისი, 1954, გვ. 83—87; მისივე. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1955, გვ. 205—209.

[4] იქვე.

88, 240 ორმოსამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს მთლიანადსხმული სატევრები), მაგრამ ზოგიერთი მათგანი ბრინჯაოს მახვილების თანადროულად მიგვაჩნია. მაგალითად, სამთავროს სამაროვანზე №№ 39, (ჩრდ. უბანი), 275 (სამხრ. უბანი) ორმოსამარხებში აღმოჩენილი სატევრები. ამაზე ჩვენ მიგვითითებს როგორც სამარხეული კომპლექსები, ისე ამ სატევრების გარეგნული ნიშნებიც.

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხების დათარიღების საკითხს შევეხეთ ჩვენც ზემოთ ხსენებულ მოხსენებებში[1]. ამ სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღების შესახებ იგივე აზრს ვანვითარებთ წინამდებარე ნაშრომშიც.

გვიანი ბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის ყველაზე მდიდარ მასალას კავკასიაში სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ძეგლები იძლევა.

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხების შედარებით დათარიღებაში ხელი შეგვიწყო: ჩვენთვის საინტერესო ხანის ძეგლების სიმრავლემ (გათხრილია ხუთას ორმოცდაათზე მეტი ორმოსამარხი[2]), ორმოსამარხთა შორის ქრონოლოგიური ხარვეზის უქონლობამ, სამარხების სტრატიგრაფიულმა განლაგებამ და იმ გარემოებამ, რომ ამ ორმოსამარხებში აღმოჩენილი ნივთები (ძირითადად იარაღი და სამკაული) ტიპოლოგიური ცვალებადობის სწრაფ სურათს იძლევა. ამ სამარხების შედარებითი თარიღების დასადგენად გავითვალისწინეთ აგრეთვე ზოგიერთი ნივთის დამზადების წესი და ლითონისაგან დამზადებული ნივთების ქიმიური შედგენილობა.

გარდა შედარებითი დათარიღებისა სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ძეგლები კარგ მასალას იძლევა მათი აბსოლუტური დათარიღებისათვისაც: ამ სამაროვანზე აღმოჩენილი ზოგიერთი ნივთი პარალელს პოულობს უკვე შედარებით ზუსტად დათარიღებულ ძეგლებში აღმოჩენილ ნივთებთან. ეს გარემოება კი საიმედო საყრდენს წარმოადგენს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ორმოსამარხების აბსოლუტური დათარიღებისათვის.

ჩვენ სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ძეგლების დათარიღებას იმ სამარხეული კომპლექსების განხილვით ვიწყებთ, რომლებიც შედარებით ზუსტად დათარიღებულ ძეგლებთან სინქრონიზაციის დადგენის საშუალებას იძლევიან და რომლებიც სწორედ ამიტომ ჩვენთვის საინტერესო ძეგლების დათარიღებისათვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენენ.

სამთავროს სამაროვანზე ჩვენ მიერ განსახილველი ძეგლებიდან შედარებით ზუსტი დათარიღების შესაძლებლობას ყველაზე მოგვიანო ხანის სამარხეული კომპლექსები იძლევა. ამიტომ, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი

---

[1] რ. აბრამიშვილი, რკინის წარმოების საკითხისათვის ძველ ქართულ ტომებში (სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი მასალების მიხედვით), (ხელნაწერი), თბილისი, 1953. გვ. 14—16; მისივე, К вопросу об освоении железа на территории Восточной Грузии (ხელნაწერი), 1955, გვ. 1—9.

[2] ამ სამარხების რიცხვში არ შეგვაქვს ანტიკური ხანის ორმოსამარხები, რომლებიც სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ქვევრსამარხების თანადროულია.

დ. ანუჩინი ეყრდნობა ფრ. ბაიერნის მიერ მისდამი მიწერილ წერილებს და თავის შრომაში „Доисторическая археология Кавказа“ მოყავს ფრ. ბაიერნის მოსაზრება, სადაც ის სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ორმოსამარხებს ძვ. წ. 2000 წლით ათარიღებს[1].

ერ. შანტრი არ იზიარებს ფრ. ბაიერნის მიერ ზემოთ აღნიშნული სამაროვნებისათვის მოცემულ შედარებით დათარიღებას და ყველა მათგანს რკინის ხანის უძველეს პერიოდს მიაკუთვნებს. მისი აზრით, უეჭველია, რომ ეს სამაროვნები მიეკუთვნება ამ პერიოდის სხვადასხვა მონაკვეთს, მაგრამ არ არის არავითარი საფუძველი რომელიმე ამ სამაროვანთაგანი ბრინჯაოს ხანით დათარიღდეს[2].

რ. ვირხოვის აზრით, ყობანის სამაროვანი უფრო ადრეულ ხანას მიეკუთვნება, ვიდრე რედკინის ბანაკის სამაროვანი. რედკინის ბანაკის სამაროვანზე უფრო ახალგაზრდად კი იგი სამთავროს სამაროვანს თვლის. ამ სამივე სამაროვანს რ. ვირხოვი რკინის ხანის დასაწყისს მიაკუთვნებს და ყველაზე უძველესს, ყობანის სამაროვანს, ძვ. წ. XI—X საუკუნეებით ათარიღებს[3].

საბჭოთა მკვლევარებიდან სამთავროს სამაროვნის ორმოსამარხები პირველად პროფ. გ. ნიორაძემ დაათარიღა. ამ საკითხს პროფ. გ. ნიორაძე ზემო ავჭალაში აღმოჩენილი ბოლოკვეთილი ბრინჯაოს მახვილის შემცველი სამარხის დათარიღებისას ეხება[4]. პროფ. გ. ნიორაძე ზემო ავჭალის სამარხის დათარიღებისათვის იხილავს ფრ. ბაიერნის მიერ სამთავროს სამაროვანზე გათხრილ № 591 ორმოსამარხის ინვენტარს, რომელშიც ზემო ავჭალის სამარხში მოპოვებული ბოლოკვეთილი ბრინჯაოს მახვილის მსგავსი მახვილია აღმოჩენილი[5]. № 591 ორმოსამარხს პროფ. გ. ნიორაძე მასში აღმოჩენილი ბრინჯაოს მშვილდსაკინძისა და ე. წ. აღმოსავლეთამიერკავკასიული და ბრტყელი ცულების საშუალებით ათარიღებს. მისი დათარიღებისათვის პროფ. გ. ნიორაძე ძირითადად ბრინჯაოს მშვილდსაკინძს იყენებს.

პროფ. გ. ნიორაძეს ისევე, როგორც ბევრ სხვა მკვლევარს, მშვილდსაკინძების სამშობლოდ სამხრეთ ევროპა მიაჩნია. იგი ეყრდნობა ი. უნდესტს და მ. ჰიორნესს და მიკენში აღმოჩენილ უპრიმიტიულეს ვიოლინოს ქამანჩისებურ საკინძს ძვ. წ. XIV საუკუნისად თვლის[6].

პროფ. გ. ნიორაძის აზრით № 591 ორმოსამარხში აღმოჩენილი მშვილდსაკინძი ამ სახის საკინძთა შედარებით განვითარებულ ტიპს წარმოადგენს და რამდენადმე დაშორებულია თავისი წარმოშობის ცენტრს. ამიტომ, მისი შეხედულებით, ეს მშვილდსაკინძი და ის სამარხი, რომელშიც იგი აღმოჩნდა, ძვ. წ.

---

[1] Д. Анучин, Доисторическая археология Кавказа; Журнал Министерства Народного Просвещения, часть CCXXXI, СПб, 1884, გვ. 206.

[2] Ern. Chantre, Recherches anthropologiques dans le Caucase, t. II, Paris—Lyon, 1886, გვ. 185—186.

[3] R. Virchow, Das Gräberfelb von Koban im Lande der Osseten, Kaukasus, Berlin, 1883, გვ. 19—20, 42.

[4] გ. ნიორაძე, ზემო ავჭალის სამარე, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VI, ტფილისი, 1931, გვ. 202—203.

[5] В. Выбуров, Предметы древности в хранилище „Общества Любителей Кавказской Археологии“, Тифлис, 1877, გვ. 29—30; Fr. Bayern, Untersuchungen über die ältesten Gräber—und Schatzfunde in Kaukasien; ZE, Supplement, Berlin, 1885, გვ. 36.

[6] გ. ნიორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 202—203.

88, 240 ორმოსამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს მთლიანადსხმული სატევრები), მაგრამ ზოგიერთი მათგანი ბრინჯაოს მახვილების თანადროულად მიგვაჩნია. მაგალითად, სამთავროს სამაროვანზე №№ 39, (ჩრდ. უბანი), 275 (სამხრ. უბანი) ორმოსამარხებში აღმოჩენილი სატევრები. ამაზე ჩვენ მიგვითითებს როგორც სამარხეული კომპლექსები, ისე ამ სატევრების გარეგნული ნიშნებიც.

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხების დათარიღების საკითხს შევეხეთ ჩვენც ზემოთ ხსენებულ მოხსენებებში[1]. ამ სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღების შესახებ იგივე აზრს ვანვითარებთ წინამდებარე ნაშრომშიც.

გვიანი ბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის ყველაზე მდიდარ მასალას კავკასიაში სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ძეგლები იძლევა.

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხების შედარებით დათარიღებაში ხელი შეგვიწყო: ჩვენთვის საინტერესო ხანის ძეგლების სიმრავლემ (გათხრილია ხუთას ორმოცდაათზე მეტი ორმოსამარხი[2]), ორმოსამარხთა შორის ქრონოლოგიური ხარვეზის უქონლობამ, სამარხებიս სტრატიგრაფიულმა განლაგებამ და იმ გარემოებამ, რომ ამ ორმოსამარხებში აღმოჩენილი ნივთები (ძირითადად იარაღი და სამკაული) ტიპოლოგიური ცვალებადობის სწრაფ სურათს იძლევა. ამ სამარხების შედარებითი თარიღების დასადგენად გავითვალისწინეთ აგრეთვე ზოგიერთი ნივთის დამზადების წესი და ლითონისაგან დამზადებული ნივთების ქიმიური შედგენილობა.

გარდა შედარებითი დათარიღებისა სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ძეგლები კარგ მასალას იძლევა მათი აბსოლუტური დათარიღებისათვისაც: ამ სამაროვანზე აღმოჩენილი ზოგიერთი ნივთი პარალელს პოულობს უკვე შედარებით ზუსტად დათარიღებულ ძეგლებში აღმოჩენილ ნივთებთან. ეს გარემოება კი საიმედო საყრდენს წარმოადგენს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ორმოსამარხების აბსოლუტური დათარიღებისათვის.

ჩვენ სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ძეგლების დათარიღებას იმ სამარხეული კომპლექსების განხილვით ვიწყებთ, რომლებიც შედარებით ზუსტად დათარიღებულ ძეგლებთან სინქრონიზაციის დადგენის საშუალებას იძლევიან და რომლებიც სწორედ ამიტომ ჩვენთვის საინტერესო ძეგლების დათარიღებისათვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენენ.

სამთავროს სამაროვანზე ჩვენ მიერ განსახილველი ძეგლებიდან შედარებით ზუსტი დათარიღების შესაძლებლობას ყველაზე მოგვიანო ხანის სამარხეული კომპლექსები იძლევა. ამიტომ, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი

---

[1] რ. აბრამიშვილი, რკინის წარმოების საკითხისათვის ძველ ქართულ ტომებში (სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი მასალების მიხედვით), (ხელნაწერი), თბილისი, 1953. გვ. 14—16; მისივე, К вопросу об освоении железа на территории Восточной Грузии (ხელნაწერი), 1955, გვ. 1—9.

[2] ამ სამარხების რიცხვში არ შეგვაქვს ანტიკური ხანის ორმოსამარხები, რომლებიც სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ქვევრსამარხების თანადროულია.

ძეგლების დათარიღებას სწორედ ამ მოგვიანო ხანის სამარხების განხილვით დავიწყებთ.

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ძეგლებიდან შედარებით ზუსტად ე. წ. სკვითური ხანის სამარხების დათარიღება ხერხდება. ამ ხანის სამარხების დასათარიღებლად თავდაპირველად გამოვყავით ის სამარხები, რომლებიც მათში აღმოჩენილი ინვენტარის საშუალებით სხვა, შედარებით ზუსტად დათარიღებულ ძეგლებთან სინქრონიზაციის საშუალებას იძლევა, ხოლო ამ სამარხეულ კომპლექსებთან პარალელების გავლებით და სტრატიგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით შევეცადეთ გამოგვეყო მათი თანადროული სხვა სამარხები.

ამის შემდეგ ჩვენ შევეცადეთ სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი უფრო ადრეული ორმოსამარხების დათარიღებას.

წინამდებარე შრომაში თითოეული ფენის დახასიათებისას ჩამოვთვლით იმ ნივთებს, რომლებიც ძირითადად ამა თუ იმ ფენისათვის არის დამახასიათებელი. ცალკე გამოვყოფთ აგრეთვე იმ ნივთებს, რომლებიც მარტო ერთ რომელიმე ფენაში გვხვდება. ამავე დროს ვჩერდებით იმ ნიშნებზე, რომლებიც ცალკეული ამ ფენისათვის არის დამახასიათებელი.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ჩვენთვის საინტერესო დროის მონაკვეთში ყველაზე მოგვიანო ძეგლები ე. წ. სკვითურ ხანას შეესატყვისება. სამთავროს სამაროვანზე ამ ხანის სამარხებისათვის დამახასიათებელია და მარტო ამ ხანის სამარხებში გვხვდება შემდეგი ნივთები: იარაღიდან – ბრინჯაოს[1] (ტაბ. I,51,55--57, 59—65), რკინისა[2] (ტაბ. I,58) და ძვლის[3] (ტაბ. I,66), „სკვითური ტიპის ისრისპირები", ძვლის ოთხწახნაგა მრავალმასრიანი ისრისპირი[4] (ტაბ. I,52), რკინის ფართოპირიანი მახვილები[5] (ტაბ. I,68), ქარქაშზე ბრინჯაოს ფურცელშემოკრული რკინის მოზრდილი სატევარი[6] (ტაბ. I,69), რკინის აკინაკები[7] (ტაბ. I,12), რკინის სხვადასხვა ტიპის ცულები[8] (ტაბ. I,4—10), რკინის კონუსისებური ხიშტები[9] (ტაბ. I,38) და ამ ხიშტების მსგავსი რკინის ისრისპირები[10] (ტაბ. I,53,54).

მარტო ამ ფენის სამარხებში გვხვდება ძვლისაგან დამზადებული ცხენის აკაზმულობაც, (საყბეურის (?) ნატეხები[11] (ტაბ. I,41,42) და ცილინდრისებური მოყვანილობის პატარა ნივთები[12] (ტაბ. I,43).

ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებიდან, რომელიც ამ ფენისათვის არის დამახასიათებელი და მარტო ამ ფენის სამარხებში გვხვდება, აღსანიშ-

---

[1] ორმოსამარხები №№ 20, 27, 71. 104. 106, 194, 293, 319, რადგან ჩვენთვის საინტერესო სამარხების უმეტესობა სამაროვანის ჩრდ. უბანზეა აღმოჩენილი, სიმოკლისათვის უბანს მარტ. სამხრ. უბანზე აღმოჩენილი სამარხების ჩამოთვლისას აღენიშნავთ.

[2] ორმოსამარხი № 293.

[3] ორმოსამარხი № 106.

[4] ორმოსამარხი № 104.

[5] ორმოსამარხები №№ 71, 195, 293, 310.

[6] ორმოსამარხი № 243.

[7] ორმოსამარხები №№ 27, 50, 99, 212, 291, 295, ორმოსამარხის ნაშთი № 24.

[8] ორმოსამარხები №№ 8, 27, 99, 196, 212, 250, ორმოსამარხის ნაშთი № 14.

[9] ორმოსამარხები №№ 99, 243.

[10] ორმოსამარხი № 104.

[11] ორმოსამარხი № 106.

[12] ორმოსამარხები №№ 50, 106, 291, 255.

ნავია: ბრინჯაოს შედგენილენიანი მშვილდსაკინძი[1] (ტაბ. I,32) ბრინჯაოს თავდაკუთხული ქინძისთავები[2] (ტაბ. I,28—30) და რკინისღეროიანი ბრინჯაოსთავიანი ქინძისთავები[3] (ტაბ. I,27,31).

ლითონის სამკაულიდან მარტო ამ ფენისათვის არის დამახასიათებელი: ბრინჯაოს სამაჯურები[4] და საწვივე რგოლები[5] თავებზე გველის (?) სქემატური გამოსახულებით (ტაბ. I,33 35,40), ბრინჯაოს ბრტყელი ფურცლისაგან დამზადებული ბეჭდები[6] (ტაბ. I,19—21), ბრინჯაოსი[7] და რკინის[8] გვერგვები (ტაბ. I,1—3), ვერცხლის სასაფეთქლეები[9] (ტაბ. I,23) და საყურეები[10] (ტაბ. I,22). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვერცხლისაგან დამზადებული ნივთები სამთავროს სამაროვანზე უფრო ადრეული ხანის სამარხებში არ გვხვდება.

მძივებიდან, რომელიც მარტო ამ ფენის სამარხებში გვხვდება და ამ ფენისათვის არის დამახასიათებელი. უნდა აღინიშნოს: გიშრის მძივები[11] (ტაბ. I.13—15) და თეთრი ფერის პასტისაგან დამზადებული კონუსისებრი[12] და ბიკონუსისებრი[13] სიგრძეზე დაღარული ძეძვები (ტაბ. I,14—25).

იმ ნივთებიდან, რომლებიც ამ ფენის სამარხებისათვის არის დამახასიათებელი და უფრო ადრეული ფენის სამარხებში მარტო გამონაკლისის სახით გვხვდება აღსანიშნავია: ნოხრილი რკინის დანები[14] (ტაბ. I 11,44,70,72), მრგვალ ან ოვალურგანივკვეთიანი ბრინჯაოს წვრილი მავთულისაგან დამზადებული სადა სამაჯურები[15] (ტაბ. I,36), ქარვის მძივები[16] (ტაბ. I,16,26) და სარდიონის დაბალი, ბოლოებწაკვეთილი ბიკონუსისებრი მძივები[17] (ტაბ. I,71).

ადრეული ფენის სამარხებთან შედარებით, ამ ფენის სამარხებში ფორმებისა და ფერის მიხედვით მეტი ნაირსახეობით არის წარმოდგენილი მინის მძივებიც (ტაბ. I,24).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ამ ხანის სამარხებში იარაღი გარდა ისრისპირებისა, მარტო რკინისა გვხვდება. ამ ფენის № 195 ორმოსამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ცული, მაგრამ ეს ცული ამ ფენისათვის გამონაკლისს წარმოადგენს. გარდა ამისა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ № 195

---

[1] ორმოსამარხი № 1.
[2] ორმოსამარხები №№ 295, 319, ორმოსამარხის ნაშთი № 28 და სხვ.
[3] ორმოსამარხები №№ 28,65.
[4] ორმოსამარხები №№ 8, 83, 57, 117, 196, 206, 213, 220, 225, 319.
[5] ორმოსამარხი № 236.
[6] ორმოსამარხები №№ 57, 181, 200, 207, 230, 255, 295, 310.
[7] ორმოსამარხები №№ 163 (სამარხ. უბანი), 207, 245, 255, 273.
[8] ორმოსამარხები №№ 107, 255.
[9] ორმოსამარხები №№ 117, 129, 210, ორმოსამარხის ნაშთი № 28.
[10] ორმოსამარხები №№ 83, 191, 206, 207.
[11] ორმოსამარხები №№ 3, 206, 273.
[12] ორმოსამარხები №№ 200, 236.
[13] ორმოსამარხები №№ 84, 29, 154.
[14] ორმოსამარხები №№ 1, 2, 31, 50, 106, 130, 137, 153, 181, 186, 200, 250, 309, 310.
[15] ორმოსამარხები №№ 83, 2, 29, 104, 200, 210, 255, 295, 303, 320.
[16] ორმოსამარხები №№ 8, 50, 57, 99, 106, 117, 196, 207, 210, 229, 230, 235, 257, 271 და ორმოსამარხების ნაშთები №№ 24, 36.
[17] ორმოსამარხები №№ 1, 2, 57, 76, 99, 104, 106, 129, 130, 137, 194, 195, 204, 207, 210, 226, 229, 230, 235, 236, 255 და სხვ.

ორმოსამარხი სხვა ინვენტარის მიხედვითაც ამ ფენის სამარხებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ადრეულ სამარხთაგანი უნდა იყოს.

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ამ ფენის ორმოსამარხებიდან შედარებით ზუსტად „სკვითური ტიპის ისრისპირების“ შემცველი ორმოსამარხები თარიღდება.

სამთავროს სამაროვანზე „სკვითური ტიპის ისრისპირების“ შემცველი ცხრა ორმოსამარხია გათხრილი[1]. ამ ცხრა ორმოსამარხში ორმოცი „სკვითური ტიპის ისრისპირია“ აღმოჩენილი. ამათგან ერთი რკინისაა, ორი ძვლის, დანარჩენი კი—ბრინჯაოსი.

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ოცდაჩვიდმეტი ცალი „სკვითური ტიპის“ ბრინჯაოს ისრისპირიდან რვა ძირითადი სახის ისრისპირი გამოიყოფა: 1) დაფნისფოთლისებური ორფრთიანი, მასრაზე დეზით (ტაბ. I. 55, 57), 2) რომბისებური, უდეზო, მასრიანი (ტაბ. I.51), 3) რომბისებური, მასრაზე დეზით (ტაბ. I,56,59), 4) ჩვეულებრივი ორფრთიანი, უდეზო, მასრიანი, 5) ამავე სახის ორფრთიანი, მასრაზე დეზით, 6) სამფრთიანი, უდეზო, მასრიანი (ტაბ. I,65), 7) სამფრთიანი, მასრაზე დეზით (ტაბ. I,64) და 8) სამწახნაგა, მოკლემასრიანი, უდეზო (ტაბ. I,63).

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი რვა სახის ისრისპირიდან ყველაზე ადრეულად დაფნისფოთლისებური, ორფრთიანი ისრისპირებია მიჩნეული. ეს აზრი პირველად პ. რაუმ გამოთქვა[2]. მან სერიოზული ნაშრომი მიუძღვნა ვოლგისპირეთის „სკვითური ტიპის“ ბრინჯაოს ისრისპირების დათარიღებას.

პ. რაუს აზრით, დაფნისფოთლისებური ბრინჯაოს ისრისპირები თავისი ფორმით ყველაზე ახლო დგანან გვიანი ბრინჯაოს ხანაში გავრცელებულ ბრინჯაოს შუბისპირებთან, რომლებიც მას ამ სახის ისრისპირების პროტოტიპებად მიაჩნია.

მისივე შეხედულებით, ტიპოლოგიური ნიშნების გარდა, დაფნისფოთლისებური ისრისპირების ადრეულობა კარგად მტკიცდება იმ ფაქტითაც, რომ ამ ფორმის ისრისპირები აღარ გვხვდება ძვ. წ. VI საუკუნის სამარხებში და მათი უკვე გადაგვარებული სახეები აღმოჩენილია მალაია ციმბალკას კომპლექსში, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნეზე უფრო ადრეული ხანით თარიღდება[3]. ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე დაფნისფოთლისებურ ბრინჯაოს ისრისპირებს პ. რაუ, ზოგადად, ძვ. წ. VII საუკუნით ათარიღებს[4].

დაფნისფოთლისებური ისრისპირების დათარიღების საკითხს ეხება ა. იესსენიც. ამ სახის ისრისპირების ჩამოსასხმელი ყალიბის ერთი ნახევარი აღმოჩნდა ნოვოჩერკასკთან 1939 წელს შემთხვევით აღმოჩენილ განძში. ამ ყალიბის შესწავლის შედეგად ა. იესსენი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მასზე გამოსახული გრძელმასრიანი, დაფნისფოთლისებური ისრისპირები ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით ყველაზე ახლო დგას ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში გავრცელებულ ბრინჯაოს შუბისპირებთან, რომლებსაც, ა. იეს-

---

[1] ორმოსამარხები №№ 20, 27, 71, 104, 106, 194, 293, 319 და ფრ. ბაიერნის მიერ გათხრილი № 592.

[2] Paul Rau, Die Gräber der frühen Eisenzeit im unteren Wolgagebiet Studien zur Chronologie der skythischen Pfeilspitze; Mitteilungen des Zentralmuseums, I, Pokrowsk, 1929, გვ. 30, ტაბ. 3 D,E, ტაბ. XV, 2 A, ტაბ. XX, 1 A, ტაბ. XVII, 4 A.

[3] P. Rau, დასახ. ნაშრომი, გვ. 30, 31, ტაბ. XIV,2 A—H.

[4] იქვე, გვ. 32—33.

სენი, ისევე როგორც პ. რაუ, ამ სახის ისრისპირების პროტოტიპებად მიიჩნევს. ამ ისრისპირების განხილვის შედეგად ა. იესსენი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ნოვოჩერკასკის ყალიბზე გამოსახული გრძელმასრიანი ისრისპირები მალაია ციმბალკას კომპლექსში წარმოდგენილ მოკლემასრიან დაფნისფოთლისებურ ბრინჯაოს ისრისპირებზე უფრო ადრეულია. ყოველივე ამის შედეგად ა. იესსენი ასკვნის, რომ ნოვოჩერკასკის ყალიბზე გამოსახული ისრისპირები ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების მიჯნაზე უფრო გვიანი ხანით არ უნდა დათარიღდეს. დაახლოებით ამავე თარიღამდე სიდის ა. იესსენი ნოვოჩერკასკის განძში შემავალი ბრინჯაოს ლაგმებისა და საყბეურების დეტალური შესწავლისას[1].

დაფნისფოთლისებური ისრისპირები სამთავროს სამაროვანზე № 104 და № 194 ორმოსამარხებში აღმოჩნდა.

№ 104 ორმოსამარხში აღმოჩენილი ისრისპირი (№ 2070) დაფნის ფოთლისებურ ისრისპირებს, გარდა პირის მოხაზულობისა, გავს მათთვის დამახასიათებელი ფორმების დახვეწილობით, სიმსუბუქით და პირის მთელ სიგრძეზე გაყოლებული მაღალი, მრგვალგანივკვეთიანი ქედით (ტაბ. I,55).

№ 2070 ისრისპირი ახლო დგას მალაია ციმბალკას კომპლექსში აღმოჩენილ დაფნისფოთლისებურ ისრისპირებთან[2]. ეს ისრისპირი თავისი ფორმით უკვე საკმაოდ დაშორებულია გვიანი ბრინჯაოს ხანის ბრინჯაოს შუბისპირებისაგან, რომლებიც მათ პროტოტიპებად არის მიჩნეული. ყოველივე ამის გამო № 2070 ისრისპირი ნოვოჩერკასკის ყალიბზე გამოსახულ გრძელმასრიან და უდეზო ისრისპირებზე უფრო გვიანდელად უნდა მივიჩნიოთ და, მსგავსად მალაია ციმბალკას ისრისპირებისა, ძვ. წ. VI საუკუნეზე უფრო ადრეულ ხანას უნდა მივაკუთვნოთ.

№ 2070 ისრისპირთან თავისი ფორმით ახლო დგას № 194 ორმოსამარხში აღმოჩენილი № 4202 ისრისპირი (ტაბ. I,57). № 2070 ისრისპირისაგან განსხვავებით № 4202 ისრისპირს პირზე უფრო დაბალი ქედი გასდევს. ორივე ეს ისრისპირი, მომდევნო ხანის ორფრთიან ისრისპირებისაგან განსხვავებით, უფრო კოხტადაა ნაკეთები და მსუბუქია. ყოველივე ამის გამო, ვფიქრობთ, რომ № 4202 ისრისპირიც, მსგავსად № 2070 ისრისპირისა, ძვ. წ. VI საუკუნეზე უფრო ადრეული ხანით უნდა დათარიღდეს.

№ 4202 ისრისპირის ადრეულობას ადასტურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ მასთან ერთად № 194 ორმოსამარხში რომბისებური ბრინჯაოს ისრისპირია აღმოჩენილი[3] (ტაბ. I,56).

რომბისებური ბრინჯაოს ისრისპირებს პ. რაუ, იგივე მალაია ციმბალკას კომპლექსის მაგალითზე, ძვ. წ. VI საუკუნეზე უფრო ადრეულად მიიჩნევს და მისი არსებობის ხანას ძვ. წ. VII საუკუნით განსაზღვრავს[4].

ა. იესსენი, სკვითური ხანის კომპლექსებში შემავალი ნივთების განხილვის შედეგად, აზუსტებს პ. რაუს მიერ მოწოდებულ თარიღს (ძვ. წ. VII სა-

---

[1] А. А. Нессен, К вопросу о памятниках VIII—VII вв. до н. э. на юге Европейской части СССР (Новочеркасский клад 1939), Советская археология, т. XVIII, Москва, 1953, გვ. 107—109.

[2] P. Rau, დასახ. ნაშრომი, გვ. 31, ტაბ. XIV, 2 B, Д, E.

[3] საველე დავთარში ეს ისრისპირიც 4202 ნორმითაა გატარებული.

[4] P. Rau, დასახ. ნაშრომი, გვ. 28, 29, 31—33, ტაბ. XIV, 3 A—C, ტაბ. XV A_1—C.

უკუნეს) და მალაია ციმბალკას კომპლექსს, სხვა მსგავსი ინვენტარის შემცველ კომპლექსებთან ერთად, ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრით ათარიღებს[1].

რომბისებური დეზიანი ბრინჯაოს ისრისპირები გვხვდება აგრეთვე №№ 106, 293 და 319 ორმოსამარხებში. რომბისებური ისრისპირები მხოლოდ უდეზო აღმოჩნდა № 71 (ტაბ. I,51) და ფრ. ბაიერნის მიერ გათხრილ № 592 ორმოსამარხებში[2].

ჩვენი აზრით ეს სამარხებიც ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრით ან ძვ. წ. VII—VI სს. მიჯნის ახლო ხანებით უნდა დათარიღდეს. ამ უკანასკნელს გვაფიქრებინებს, ერთი მხრივ, №№ 71 და 319 ორმოსამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ისრიპირების რომბისებური ისრისპირებიდან ჩვეულებრივ ორფრთიან ისრისპირებზე გარდამავალი ფორმები, მეორე მხრივ, რომბისებური ბრინჯაოს ისრის პირების აღმოჩენა ძვ. წ. VI ს. პირველი ნახევრისათვის დამახასიათებელ „სკვითური ტიპის ისრისპირებთან“ ერთად[3].

ყველა დანარჩენი ხახის ბრინჯაოს „სკვითური ტიპის ისრისპირების“ მსგავსი ისრისპირები (ორფრთიანი, მასრაზე დეზით; სამფრთიანი, მასრაზე დეზით; სამფრთიანი უდეზო და სამწახნაგა მოკლემასრიანი უდეზო), რომლებიც სამთავროს სამაროვანზეა აღმოჩენილი, გვხვდება კელერმესის ყორღანებში[4].

ყველა თანამედროვე მკვლევარი კელერმესის ყორღანებს ძვ. წ. VI ს. პირველი ნახევრის ფარგლებში აქცევს. ასე მაგალითად: კ. შეფოლდი კელერმესის ყორღანებში აღმოჩენილი იმპორტული ნივთების სტილისტიკური ანალიზის შედეგად ამ ყორღანებს ძვ. წ. VI ს. მეორე მეოთხედით ათარიღებს[5].

პროფ. მ. მაქსიმოვა შულცის მიერ გათხრილ კელერმესის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილ ვერცხლის სარკეზე გადაკრულ ელექტრუმის ფირფიტაზე არსებული გამოსახულებების დეტალური შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ სარკის ოსტატ-დეკორატორს იგი ძვ. წ. VI საუკუნის 80-იან—70-იან წლებში უნდა დაემზადებინა[6].

ა. იესსენიც არა ერთხელ შეეხო კელერმესის ყორღანების დათარიღების საკითხს. ის ყველა ამ ყორღანს, მათში აღმოჩენილი ნივთების ერთმანეთთან მსგავსების გამო, დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში აქცევს და ამ ყორღანებში აღმოჩენილი ნივთების განხილვისას და ლაგმებისა და საყბეურების დეტალური შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ ყორღანების ძირითადი ნაწილი ძვ. წ. VI ს. მეორე მეოთხედით უნდა დათარიღდეს. ზოგიერთი კომპლექსი კი მას ძვ. წ. VI ს. პირველ მეოთხედშიც გადააქვს[7].

---

[1] А. А. Иессен, Некоторые памятники VIII—VII вв. до н. э. на Северном Кавказе, Вопросы скифо-сарматской археологии, გვ. 119.

[2] ამჟამად № 71 ორმოსამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ისრისპირს (№ 1413) დამზადების წესის შესწავლის მიზნით მასრა წაჭრილი აქვს, მაგრამ საველე აღწერილობიდან კარგად ჩანს, რომ უდეზო იყო.

[3] ორმოსამარხები №№ 106, 293.

[4] P. Rau, დასახ. ნაშრომი, ტაბ. I.

[5] K. Schefold, Der skythische Tierstil in Südrussland, ESA, XII, 1937, გვ. 8—13,

[6] М. И. Максимова, Серебряное зеркало из Келермеса, Советская археология. XXI, Москва, 1954, გვ. 303—304.

[7] А. А. Иессен, Моздокский могильник в ряду памятников Северного Кавказа; Археологические экспедиции Эрмитажа, вып. I, Моздокский могильник, Ленинград, 1940;

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი „სკვითური ტიპის“ ორფრთიანი და სამფრთიანი დეზიანი ბრინჯაოს ისრისპირების მსგავსი ისრისპირები და მათი ჩამოსასხმელი ყალიბები აღმოჩენილია ქალაქ კარქემიშის ნანგრევებში.

კარქემიშში წარმოებული გათხრებიდან კარგად ჩანს, რომ ეს ფენა მიეკუთვნება ძვ. წ. 604 წელს, როცა ნაბუქოდონოსორის მიერ დანგრეულ იქნა ეს ქალაქი. ამ ფენას ძვ. წ. VII საუკუნის მიწურულით კარგად ათარიღებს აგრეთვე ეგვიპტური ნივთები, კერძოდ: ნეხოს (ძვ. წ. 611—595 წწ.) ბეჭდის ანაბეჭდი და პსამეტიქ I-ის (ძვ. წ. 665—611 წწ.) ბრინჯაოს ბეჭედი[1].

ე. წ. როდოსული ენოხოეს საშუალებით ძვ. წ. VI ს. დასაწყისით თარიღდება აგრეთვე ტამანის ნახევარკუნძულზე, ცუკურას ლიმანის მარცხენა ნაპირზე აღმოჩენილი სამარხი. ამ სამარხში სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ცხრა „სკვითური ტიპის“ ბრინჯაოს ისრისპირი და ერთი ორფრთიანი რკინის ისრისპირი[2], რომლის მსგავსი მოპოვებულ იქნა სამთავროს სამაროვანის № 293 ორმოსამარხში (ტაბ. I,58).

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი „სკვითური ტიპის“ ბრინჯაოს ისრისპირების მსგავსი ისრისპირები აღმოჩენილია აგრეთვე ურარტულ ციხე-ქალაქ თეიშებაინში. ამ ისრისპირებს პროფ. ბ. პიოტროვსკი ძვ. წ. VI ს. პირველი მეოთხედით ათარიღებს[3].

ვფიქრობთ, ყველა ზემოთ მოტანილი პარალელი საკმაო საბუთს იძლევა იმისათვის, რომ სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს „სკვითური ტიპის“ ისრისპირების შემცველი სამარხები ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრითა და ძვ. წ. VI ს. პირველი ნახევრით დავათარიღოთ.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ეს ფენა ყველაზე კარგად „სკვითური ტიპის ისრისპირების“ საშუალებით თარიღდება. ამ ფენის თარიღებს რამდენადმე ამაგრებს და აზუსტებს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ზოგიერთი სხვა ნივთიც. ასე მაგალითად: ამ ფენის დათარიღებისათვის კარგ საყრდენს წარმოადგენს აგრეთვე სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი რკინის აკინაკები.

გვ. 39—49; მისივე, Греческая колонизация Северного Причерноморья, Ленинград, 1947, გვ. 40, 45; მისივე, К вопросу о памятниках VIII—VII вв. до н. э. на юге Европейской части СССР (Новочеркасский клад. 1939), СА, XVIII, 1953, გვ. 100—101; მისივე, Некоторые памятники VIII - VII вв. д. э. на Северном Кавказе, Вопросы скифо-сарматской археологии, გვ. 112—114.

[1] C. L. Wolley, Carchemish, part, II, London, 1921, გვ. 125—126, 130, ტაბ. 22в, 22в.

[2] ე ბ რ უ შ ე ვ ს კ ა ი ა ს ეს სამარხი ენოხოეს საშუალებით დათარიღებული აქვს ძვ. წ. VII—VI სს. მიჯნით, თვით ენოხოე კი ძვ. წ. VII ს. უკანასკნელი მეოთხედით (Е. Прушевская, Родосская ваза и бронзовые вещи из могильника на Таманском полуострове, ИАК, вып. 63, 1917, გვ. 48, ნახ. 17, 18). თანამედროვე მკვლევრებს მილეთურ-როდოსელი ჭურჭლის დამზადების თარიღი ძვ. წ. VII ს. უკანასკნელი მეოთხედიდან ძვ. წ. VI ს. დასაწყისში აქვთ გადატანილი (Н е с с е н, Греческая колонизация Северного Причерноморья, 1947, გვ. 65; М. М а к с и м о в а, Серберяное зеркало из Келермеса, СА, XXI, გვ 303.

[3] Б. Б. П и о т р о в с к и й, История и культура Урарту, Ереван, 1944, გვ. 188, 305. ნახ. 53; მისივე, Скифы в Закавказье, Ученые записки ЛГУ, Серия исторических наук, вып. 13, Ленинград, 1949, გვ. 176; მისივე, Кармир—Блур, вып. I, Ереван, 1950, გვ. 86, ნახ. 55, 63; მისივე, Скифы и древний Восток, СА, XIX, 1954, გვ. 141.

რკინის აკინაკი სამთავროს სამაროვანზე ექვსი ცალია აღმოჩენილი[1]. ამ აკინაკებს ღერძაკისებური ტარის თავი და მაღალი, პეპლისებური ვადა აქვს (ტაბ. I,12).

ამ ნიშნის მქონე, დღეისათვის უკვე დიდი რაოდენობით აღმოჩენილი რკინის აკინაკები, სხვა თანამხლებ ინვენტართან ერთად განხილვის შედეგად, საკმაოდ კარგად თარიღდება ძვ. წ. VI საუკუნით[2].

ძვ. წ. VI საუკუნის ფარგლებში ექცევა აგრეთვე სამთავროს სამაროვნის № 106 ორმოსამარხში აღმოჩენილი ძვლის ნივთები (№ 2098) რომლის ერთი ნატეხი „სკვითურ კულტურაში" ფართოდ გავრცელებულ გრიფონის (?) გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს, სხვა ნატეხები კი—ცხენის ფეხების გამოსახულებას (ტაბ. I, 41, 42).

„სკვითურ კულტურაში" საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ძვლის საყბეურები, რომლის ერთი ბოლო მთავრდებოდა ფანტასტიკური ცხოველისა ან ცხენის თავით, მეორე კი—ცხენის ფეხის გამოსახულებით[3].

№ 106 ორმოსამარხში აღმოჩენილი ძვლის ნივთების ერთი ნაწილი, ვფიქრობთ, ამ ტიპის დამტვრეულ საყბეურს წარმოადგენს.

კელერმესის ყორღანებში[4] და ურარტუს ციხე-ქალაქ თეიშებაინში[5] გვხვდება აგრეთვე „სკვითური კულტურისათვის დამახასიათებელი ძვლის საყბეურებზე გამოსახული ფანტასტიკური ცხოველების თავის მსგავსი ნივთები. ყველა ეს ძეგლი, სადაც ზემოთ ხსენებული ძვლის საყბეურები და ფანტასტიკური ცხოველების თავის გამოსახულების მქონე ნივთები იქნა აღმოჩენილი, კარგად თარიღდება ძვ. წ. VI საუკუნით. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ უფრო მოგვიანო ხანის ძეგლებში ძვლის საყბეურები უკვე აღარ გვხვდება[6].

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნივთებისა, ეს ფენა კარგად თარიღდება შედგენილენიანი ბრინჯაოს მშვილდსაკინძით (ტაბ. I.32) და რკინის მოხრილი დანებით (ტაბ. I, 11, 44, 70, 72). როგორც პროფ. ბ. პიოტროვსკის სამართლიანად აქვს აღნიშნული, რკინის მოხრილი დანები ძვ. წ. VII ს. ბოლო ხანებიდან ამიერკავკასიის სამაროვნებისათვის დამახასიათებელ ნივთებად ხდება[7]. შედგენილენიანი მშვილდსაკინძი და რკინის მოხრილი დანები აღმოჩენილ იქნა კარმირ-ბლურზეც[8].

როგორც დავინახეთ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნივთების საშუალებით ეს ფენა შედარებით კარგად თარიღდება ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრით და ძვ. წ. VI ს.

---

[1] №№ 601 (ორმოსამარხი № 27), 1096 (ორმოსამარხი № 50), 2025 (ორმოსამარხი № 99), 6177 (ორმოსამარხი № 291), 6565 (ორმოსამარხი № 295).

[2] Е. Придик, Мельгуновский клад, 1863 г. МАР, вып. 31, СПб, 1911, გვ. 14, 21, ნახ. 1,2, ტაბ. I; В. А. Іллінська, Курган Старша могила, Археологія, т. X, Київ 1951, გვ. 199, ტაბ. I, ნახ. 1; П. Д. Либеров, Хронология памятников Приднепровья скифского времени. Вопросы, скифо-сарматкой археологии.

[3] იხ. მაგ. ОАК, за 1904, СПб, 1907, გვ. 103, სურ. 185; А. А. Бобринский, Курганы и случайные находки близь местечка Смелы, т. III, СПб, 1901, ტაბ. XII, VIII; В. А. Іллинська, დასახელებული ნაშრომი.

[4] ОАК за 1904 год, СПб, 1907, გვ. 91, ნახ. 146, გვ. 94, ნახ. 157, 159, 160.

[5] Б. Б Пиотровский, Кармир—блур, I, Ереван, 1950, გვ. 96, ნახ 64.

[6] Б. А. Іллінська, დასახელებული ნაშრომი.

[7] Б. Б. Пиотровский, История и культура Урарту, Ереван, 1944, გვ. 185; მისივე, Кармир—блур, I, Ереван, 1950, გვ. 37.

[8] Б. Б. Пиотровский, დასახ. ნაშრომი, იქვე. მისივე, Кармир—блур, II, Ереван, 1952, ნახ. 18.

არ არის გამორიცხული, რომ ჩვენ მიერ ამ ფენაში გაერკვეულ ზოგიერთი ორმოსამარხი ამ ფენის სამარხებისათვის დადგენილ ქრონოლოგიურ საზღვრებს ცილდებოდეს, მაგრამ ძირითადი ნაწილი კი, უდავოდ, აღნიშნული ხანით (ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევარი—ძვ. წ. VI ს). უნდა დათარიღდეს.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ ფენის თანადროული სამარხები აღმოჩენილია წიწამურთან[1], დვანში[2], მანგლისში[3], სოფ. ბეშთაშენთან, მდ. ბაშკევ-სუს მარჯვენა ნაპირზე[4], ზემოლისას სამაროვანზე[5] და სხვ.

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ უფრო ადრეული ფენის სამარხებს ჩვენ დაახლოვებით ძვ. წ. VIII ს.—ძვ. წ. VII ს. პირველი ნახევრით ვათარიღებთ.

ამ ხანის სამარხებისათვის დამახასიათებელია და მარტო ამ ფენის სამარხებში გვხვდება: აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებული ორფრთიანი, გრძელყუნწიანი ბრინჯაოსი[6] (ტაბ. I, 105—109, 114) და რკინის[7] ისრისპირები (ტაბ. I, 110, 115), რკინის გრძელი მახვილები[8] (ტაბ. I, 116, 117) და რკინის სხვადასხვა ტიპის სატევრები[9] (ტაბ. I,82—86,88—89).

სამთავროს სამაროვანზე უფრო ადრეული ხანის სამარხებში არ არის აღმოჩენილი და პირველად ამ ფენის სამარხებში გვხვდება რკინის სამაჯურები[10] (ტაბ. I,78), ბეჭდები[11] (ტაბ. I,77) და მშვილდსაკინძები[12] (ტაბ. I, 103), ბრინჯაოს ჭდეულზედაპირიანი სამაჯურები[13] (ტაბ. ,75) და ბეჭდები[14] (ტაბ. I,76), სარდიონის ე. წ. ზარისებური და ხუთწახნაგა[15] (ტაბ. I,74) მძივები და ბრინჯაოს ფირფიტისაგან დამზადებული ვარდულები[16] (ტაბ. I,113).

ამ მხრივ სამთავროს სამაროვანზე გამონაკლისს წარმოადგენს № 70 ორმოსამარხი, რომელიც რიგი ნიშნების გამო, უფრო ადრეული ფენის სამარხებთან ერთად გვაქვს განხილული და რომელშიც აღმოჩენილია; ბრინჯაოს

---

[1] O. Wesendonk, Archäologisches aus dem Kaukasus, Archäologischer Anzeiger XL 1—2, Berlin, 1925, გვ. 49—50.

[2] ს. მაკალათია, დვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები, თბილისი, 1948.

[3] მელიქსეთ-ბეგი, მანგლისის ნეკროპოლი, ჩვენი მეცნიერება, № 1, 1924, გვ. 82—87.

[4] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, გვ. 48.

[5] ო. ჯაფარიძე, სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, თბილისი, 1952 (ხელნაწერი).

[6] ორმოსამარხები №№ 38, 121, 202, 276, 303, ორმოსამარხის ნაშთი № 26.

[7] ორმოსამარხები №№ 121, 174.

[8] ორმოსამარხები №№ 38, 48, 55, 72, 79, 83, 96 ა, 112, 121, 123, 147, 174, 202, 225, 262, 272, 276, 307, 317, 31 (სამხრ. უბანი ორმოსამარხის ნაშთი № 41.

[9] ორმოსამარხები №№ 88, 79, 225, 272, 292, 307, ორმოსამ. ნაშთი № 26.

[10] ორმოსამარხები №№ 72, 123.

[11] ორმოსამარხი № 303.

[12] ორმოსამარხები №№ 174, 276, ორმოსამარხ. ნაშთი № 41.

[13] ორმოსამარხები №№ 88, 38, 55, 72, 96 ა, 112, 121, 174, 260, 262, 272, ორმოსამარხ. ნაშთი № 41.

[14] ორმოსამარხები №№ 88, 38, 55, 72, 96ა, 112, 121, 260, 272.

[15] ორმოსამარხები №№ 88, 96ა, 112, 121, 174, 260, 307, 317 და ორმოსამარხების ნაშთები №№ 26, 41.

[16] ორმოსამარხები №№ 38, 276.

ჭდეულზედაპირიანი ბეჭედი, ე. წ. ზარისებური სარდიონის მძივი და სხვა შედარებით უფრო გვიანი ხანისათვის დამახასიათებელი ნივთები.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზემო ავჭალის სამარხში, რომელიც ამ ფენის სამარხებზე უფრო ადრეულია, გვხვდება როგორც ხუთწახნაგა, ისე ე. წ. ზარისებური მძივები[1]. ვფიქრობთ, ეს ფაქტი ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ზემო ავჭალის სამარხი, სხვა წვერკვეთილი მახვილების შემცველ სამარხებთან შედარებით, უფრო გვიანდელი ხანისაა.

ძვ. წ. VIII ს.—ძვ. წ. VII ს. I ნახევრის სამარხებში (როგორც დედაკაცის, ისე მამაკაცის), ადრეული ხანის სამარხებთან შედარებით, მეტი რაოდენობით გვხვდება სამკაული.

მომდევნო ხანის სამარხებისათვის დამახასიათებელი ნივთებიდან ამ ფენაში არ გვხვდება: „სკვითური ტიპის ისრისპირები", რკინის ფართოპირიანი მახვილი, რკინის აკინაკი, ბრინჯაოს შედგენილენიანი მშვილდსაკინძი, ვერცხლის სასაფეთქლე რგოლი და საყურე, ბრინჯაოს ბრტყელი ბეჭედი, ბრინჯაოსი და რკინის ე. წ. გვერგვი და ბრინჯაოს სამაჯური ბოლოებზე ცხოველის თავის სტილიზებული გამოსახულებით.

მომდევნო ფენის სამარხებთან შედარებით, ამ ხანის სამარხებში მეტი რაოდენობით გვხვდება ბრინჯაოს იარაღი: კოლხური ტიპის ცულები[2] (ტაბ. I, 79, 8.) და ყალიბში ჩამოსხმის ტექნიკით დამზადებული მთლიანმასრიანი[3] (ტაბ. I, 80) და მასრაგახსნილი[4] შუბისპირები (ტაბ. I, 104).

მიუხედავად ამისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ხანის სამარხებში იარაღი ჩვეულებრივ რკინისაა, ხოლო ბრინჯაოსი იშვიათ შემთხვევაში გვხვდება.

ყოველივე ზემოხსენებულის გარდა, ამ ორი ფენის სამარხების ქრონოლოგიურ განსხვავებაზე მიგვითითებს სტრატიგრაფიული მონაცემებიც. ასე მაგალითად: მომდევნო ფენის ორმოსამარხი № 29 ზევიდან ადევს ამ ფენის № 30 ორმოსამარხს, № 235 ორმოსამარხი—№ 237 ორმოსამარხს, № 248 ორმოსამარხი—№ 249 ორმოსამარხს, № 300 ორმოსამარხი—№ 301 ორმოსამარხს და № 212 ორმოსამარხი—№ 216 ორმოსამარხს (ტაბ. II). ამ ფენის ორმოსამარხები სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით გამოიყოფა უფრო ადრეული ხანის ორმოსამარხებისაგანაც. ასე მაგალითად ამ ფენის № 274 ორმოსამარხი ზევიდან ადევს გვიანი ბრინჯაოს ხანის № 286 ორმოსამარხს, ხოლო № 96 ა ორმოსამარხი ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის—№ 96 ბ ორმოსამარხს (ტაბ. III).

როგორც დავინახეთ, ამ ფენის სამარხები ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევარზე უფრო ადრეულ ხანას მიეკუთვნება. მისი ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი კი ძვ. წ. VIII ს. დასაწყისამდე უნდა აღწევდეს. ამ თარიღს ამაგრებს ამ ფენის სამარხებში აღმოჩენილი გრძელყუნწიანი ისრისპირები. მათი მსგავსი ისრისპირები აღმოჩენილია ურარტულ ციხე-ქალაქ თეიშებაინის ნანგრევებში. აბ ისრისპირებზე მათი მფლობელების, ძვ. წ. VIII ს. ურარტუს

---

[1] გ. ნიორაძე, ზემო ავჭალის სამარე, გვ. 218—219, სურ. 8.
[2] ორმოსამარხები №№ 121, 260.
[3] ორმოსამარხები №№ 96 ა, 225, 276.
[4] ორმოსამარხი № 55.

მეფეების სახელებია დაწერილი. ერთი ამ ტიპის ისრისპირი მიეკუთვნება არგიშტი I-ს (ძვ. წ. 781—760 წწ.), სამი კი—სარდურ II-ს (ძვ. წ. 760—730 წწ.)[1].

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ფენის სამარხების თანადროულია: დმანისში[2] და თაქ-ქილისას სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხების უმეტესობა[3], ახალციხის რაიონში აღმოჩენილი ბრინჯაოს ტარიანი რკინის მახვილები[4] (ტაბ. I, 101, 102), სოფ. პატარძეულში აღმოჩენილი რკინის მახვილები[5] და სხვ

უფრო ადრეული ხანის ორი ფენის სამარხებს ჩვენ ერთად განვიხილავთ, რადგან ეს ორი ფენა ერთმანეთისაგან ძირითადად რკინის ნივთების მეტ-ნაკლებობით განსხვავდება.

ორივე ამ ფენის სამარხებისათვის დამახასიათებელია და მარტო მათში გვხვდება: ბრინჯაოს წვერმომრგვალებული[6] (ტაბ. I, 155) და წვერკვეთილი[7]. (ტაბ. I, 154) მახვილები, სხვადასხვა ზომის და ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ბრინჯაოს სატევრები მაღალი ქუდით ტარზე[8] (ტაბ. I, 153, 182—184), რკინის ტარშეურჩხელი[9] (ტაბ. I, 122, 152) და ბრინჯაოს მახვილების მსგავსი ბრინჯაოს ტარის მქონე რკინის მახვილები[10] (ტაბ. I, 138) რკინის ფოთლისებური[11] (ტაბ. I, 118, 133, 147) და ე. წ. განჯ-ყარაბაღული ტიპის[12] (ტაბ. I, 140) სატევრები, რკინის კოლხური ტიპის[13] ცული (ტაბ. I, 163), ბრინჯაოს სამკუთხედისებური თხელი ისრისპირების მსგავსი ძვლის ისრისპირები[14] (ტაბ, I, 159), ბრინჯაოსაგან დამზადებული ირმის ქანდაკებები[15] (ტაბ. I, 177), ბრინჯაოს მილები[16], ბრინჯაოს ე. წ. სამხარიღლიე ბალთები[17] (ტაბ. I 158) და რგოლები[18] (ტაბ. I, 119, 175) და ბრინჯაოს[19] და ძვლის[20] გაურკვეველი დანიშნულების ღარისებური ნივთები.

---

[1] Б. Б. Пиотровский, Кармир-блур, III, Ереван, 1955, გვ. 40, ნახ 29, 30.

[2] გ. ნიორაძე, დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XI, თბილისი, 1947, გვ. 1—56.

[3] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, გვ. 56—58, 63.

[4] ტაბ. I, სურ. 102-ზე გამოსახული მახვილი ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში. სურ. 101 გამოსახული მახვილი—ახალციხის მუზეუმში.

[5] ორივე მახვილი ინახება სახელმწიფო მუზეუმში № 10—02: 2:8 და 2—30:7.

[6] ორმოსამარხები №№ 56, 77, 96 ბ, 152.

[7] ორმოსამარხები №№ №№ 208 და ფრ. ბაიერნის მიერ გათხრილი № 591.

[8] ორმოსამარხები №№ 39, 51, 208, 211, 279, ფრ. ბაიერნის მიერ გათხრილი № 591 და სამხრეთ უბანზე გათხრილი №№ 29, 96, 275.

[9] ორმოსამარხები №№ 19, 44, 51, 83, 95, 119, 151, 177, 211, 281 და სამხრეთ უბანზე აღმოჩენილი 91 და 375.

[10] ორმოსამარხები №№ 70, 168, 289.

[11] ორმოსამარხები №№ 70, 114, 134, 311 და სამხრეთ უბანზე აღმოჩენილი 284.

[12] ორმოსამარხი № 177.

[13] ორმოსამარხი № 70.

[14] ორმოსამარხები №№ 44, 56, 211, 279 და სამარხ. უბანზე აღმოჩენილი 284.

[15] ორმოსამარხები №№ 56, 77, 96 ბ, 208.

[16] ორმოსამარხები №№ 56, 77, 96 ბ, 152, 208.

[17] ორმოსამარხები №№ 51, 95 ბ, 119, 208 და სამხრ. უბანზე აღმოჩ. 29.

[18] ორმოსამარხები №№ 39, 44, 51, 65 ბ, 114, 119, 208, 211, და სამხრეთ უბანზე აღმოჩენილი 29.

[19] ორმოსამარხები №№ 168, 211 და ფრ. ბაიერნის მიერ გათხრილი № 591.

[20] ორმოსამარხები №№ 44, 56, 119, 281.

პირველად ამ ხანის სამარხებში გვხვდება და ამ ფენისათვისაა დამახასიათებელი: რკინის შუბისპირები მასრაზე ბრინჯაოს სალტით[1] (ტაბ. I, 139, 171), მოჭიქული თიხის ჭურჭელი[2] და ადრეული ფენის სამარხებთან შედარებით გრძელშვერილიანი ირმის რქის ძირები (ტაბ. I, 176).

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად და სტრატიგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით (იხ. ტაბ. III), ვფიქრობთ, საკმაოდ კარგად ჩანს, რომ ამ ფენის სამარხები ცალკე გამოიყოფა და უფრო ადრეული ხანისაა, ვიდრე ჩვენ მიერ განხილული ძვ. წ. VIII ს.—ძვ. წ. VII ს. პირველი ნახევრის სამარხები.

ამ ხანის სამარხებში რკინის ინვენტარის მეტ-ნაკლებობის გათვალისწინებით ხერხდება ორი დამოუკიდებელი ფენის გამოყოფა. ცალკე ფენად გამოვყოფთ იმ სამარხებს, რომლებშიც რკინის იარაღი უკვე გაბატონებულია, ხოლო ბრინჯაოს იარაღი იშვიათ შემთხვევაშია გვხვდება[3]. მეორე უფრო ადრეულ ფენაში კი ბრინჯაოს იარაღის პარალელურად გვხვდება რკინის იარაღი და სხვა დანიშნულების ნივთები, მაგრამ ბრინჯაოსაგან ჯერ კიდევ ამზადებდნენ ისეთ იარაღსაც, როგორიცაა მახვილები და სატეკრები[4]. ამ ფენას ჩვენ ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ ხანას მივაკუთვნებთ.

ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის სამარხებშიც, რკინის ნივთების მეტ-ნაკლებობის გათვალისწინებით, ხერხდება ქრონოლოგიურად ურთიერთ—მონაცვლე სამარხების გამოყოფა. ასე მაგალითად: ბრინჯაოს მახვილიანი სამარხებიდან ადრეულია წვერმომრგვალებული მახვილების შემცველი სამარხები[5] და შედარებით უფრო გვიანდელია წვერკვეთილი მახვილების შემცველი სამარხები[6]. თუ ბრინჯაოს წვერმომრგვალებული მახვილების შემცველი ოთხი სამარხიდან რკინის ნივთი მხოლოდ ერთში გვხვდება და ისიც მარტო პატარა დანისპირის სახით[7] (ტაბ. I, 156), წვერკვეთილ მახვილების შემცველ ყველა სამარხში ერთი ან რამდენიმე რკინის ნივთია აღმოჩენილი. ასე მაგალითად: ფრ. ბაიერნის მიერ გათხრილ № 591 ორმოსამარხში აღმოჩნდა შუბისპირი და მავთულისაგან დაჭზადებული პატარა კავი, რომელიც სამხარიღლიე ორმაგბლოკისებურ, ბრინჯაოს ბალთაზე იყო გამოდებული[8]. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილ № 208 ორმოსამარხში აღმოჩნდა დანა, ზემო ავჭალის სამარხში—შუბისპირი და სატევარი[9], ხოლო პროფ. ე. თაყაიშვილის მიერ ვორკანში გათხრილ სამარხში—დანა და შუბის-

---

[1] ორმოსამარხები №№ 19, 51, 218, 281 და სამხრეთ უბანზე აღმოჩენილი 336.

[2] ორმოსამარხები №№ 77, 96 ბ, 168, 208, 289 და ფრ. ბაიერნის მიერ გათხრილი 591.

[3] ორმოსამარხები №№ 19, 44, 70, 83, 114, 119, 134, 151, 168, 177, 281, 289, 311 და სამხრეთ უბანზე აღმოჩენილი 91, 284, 375 და სხვ.

[4] ორმოსამარხები №№ 39, 51, 56, 77, 96 ბ, 152, 208, 211, 279 და სამხრეთ უბანზე აღმოჩენილი 29, 96, 275.

[5] ორმოსამარხები №№ 56, 77, 96 ბ, 152.

[6] ორმოსამარხები №№ 208 და ბაიერნისეული 591.

[7] ორმოსამარხი № 56.

[8] Er. Bayern, Untersuchungen über die ältesten Gräber—und Schatzfunde in Kaukasien; ZE, Supplement, Berlin, 1885, გვ. 36.

[9] გ. ნიორაძე, ზემო ავჭალის სამარე, გვ. 210—211.

პირი[1]. რკინა გვხვდება ბაკურციხეში გათხრილ ბრინჯაოს წვერკვეთილი მახვილის შემცველ სამარხშიც[2].

ბრინჯაოს წვერმომრგვალებულ მახვილებთან შედარებით, წვერკვეთილი მახვილების გვიანდელობაზე მიგვითითებს ის გარემოებაც, რომ წვერმომრგვალებულ მახვილებთან შედარებით, წვერკვეთილი მახვილები ბევრად უფრო განვითარებული სახის იარაღია.

ბრინჯაოს მახვილიან სამარხებზე უფრო გვიანი ხანისაა ბრინჯაოს გრძელი სატევრების შემცველი № 51 და № 211 ორმოსამარხები. ამ სამარხებში რკინის ნივთებიდან აღმოჩენილია: თითო ტარშეურჩენელი მახვილი (ტაბ. I, 152), ორ-ორი დანისპირი (ტაბ. I, 148—151) და თითო შუბისპირი (ტაბ. I, 171). გარდა ამისა რკინის ნივთებიდან № 211 ორმოსამარხში აღმოჩნდა ერთი ისრისპირი, ხოლო № 51 ორმოსამარხში—ოთხი ისრისპირი (ტაბ. I, 161) და გაურკვეველი დანიშნულების „ჩარჩოსებური" ნივთი. ბრინჯაოს იარაღიდან ამ ორმოსამარხებში ვხვდებით: მთლიანადსხმულ გრძელ სატევრებს, თითო შუბისპირს და ისრისპირებს. ასე რომ, როგორც ვხედავთ, ამ ორ სამარხში რკინის იარაღი ბრინჯაოს იარაღთან შედარებით, მეტი რაოდენობითაც კი არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, ორივე სამარხებში ვხვდებით რკინის მახვილს, რომლის დამზადების ტექნიკა რკინის მეტალურგიის უფრო მაღალი დონის მაუწყებელიც არის.

ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის ძეგლებს ჩვენ, დაახლოებით, ძვ. წ. XI—X სს. ვათარიღებთ.

როგორც ცნობილია, ფრ. ბაიერნისეულ № 591 ორმოსამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ე. წ. სუბმიკენური ტიპის მშვილდსაკინძი (ტაბ. I, 160), რომელიც საქართველოში აღმოჩენილ ამ ტიპის მშვილდსაკინძებიდან ერთ-ერთი ყველაზე ადრეულთაგანია. ამ მშვილდსაკინძების მსგავსი მშვილდსაკინძები საბერძნეთში, საიდანაც ისინი იღებენ თავის ფორმებს, მხოლოდ ძვ. წ. XII—X სს. გვხვდება[3].

ამ ფაქტის გარდა, ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის სამარხებისათვის ჩვენ მიერ მოცემულ თარიღს ამაგრებს აგრეთვე სამთავროს სამაროვანზე გამოყოფილი ფენების ქრონოლოგიური ურთიერთმონაცვლეობაც.

ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის სამარხების მომდევნო ფენას ჩვენ დაახლოებით, ძვ. წ. IX ს. ვათარიღებთ. ამ თარიღზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ ეს ფენა მოქცეულია ძვ. წ. XI—X საუკუნეებისა და ძვ. წ. VIII ს.—ძვ. წ. VII ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ ფენებს შორის. ამ ფენის სამარხებთან ერთად ჩვენ განხილული გვქონდა № 70 ორმოსამარხი, რომელშიც ამ ხანისათვის დამახასიათებელი რკინის იარაღი აღმოჩნდა. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ეს სამარხი შეიცავს აგრეთვე მომდევნო ფენისათვის დამახასიათებელ ნივთებს (ჭდეულზედაპირიანი ბეჭედი, სარდიო-

---

[1] Дело археологической комиссии № 17/1894 г. Дневник раскопок, произведенных по поручению Имп. Арх. Ком. Е. С. Такаишвили летом 1894 г. в разных местах Борчалинского уезда Тифлисской губернии, ღიური ხელნაწერის სახით ინახება მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების არქივში.

[2] ა. აფაქიძე, ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1940 (ხელნაწერი), გვ. 186—188.

[3] Chr. Blinkenberg, Fibules Grecqyes et Orientales, Det Kgt. Danske Videnskabernes Selskab. Historisk—filologiske Meddelelser, XIII, 1KØbenhavn, 1, 926, გვ. 17, 20—21, 59—66.

ნის ე. წ. ზარისებური მძივები და სხვ.). ამის გამო № 70 სამარხს ამ ფენის სხვა სამარხებთან შედარებით უფრო გვიანდელად ვთვლით და ვფიქრობთ, რომ ის ძვ. წ. VIII ს. დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლებიდან ამ ფენის თანადროულად მიგვაჩნია: თრიალეთში წინწყაროს სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხების ნაწილი, ყორღან III-ს ყრილში აღმოჩენილი ე. წ. განჯა ყარაბაღული ტიპის რკინის სატევრის შემცველი ქვისსამარხი[1], სოფ. კუშჩში აღმოჩენილი ბრინჯაოსტარიანი რკინის მახვილის შემცველი სამარხი[2] და ბორჯომსა და ხაშურს შორის აღმოჩენილი რკინის სატევრის ბრინჯაოს ტარი[3].

ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის ძეგლებზე უფრო ადრეული ფენა გვიანბრინჯაოს მიეკუთვნება.

ამ ხანის სამარხებში სამთავროს სამაროვანზე რკინის ნივთებს არ ვხვდებით მთელს ამიერკავკასიაში ამ ფენის თანადროულ ძეგლებში სულ სამი რკინის ნივთია აღმოჩენილი: სატევარი — სოფ. ბეშთაშენთან, გერიაკ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე აღმოჩენილ № 18 სამარხში[4], დანა—ამავე სამაროვნის № 13 სამარაში და საკიდი—სოფ. შილდასთან შემთხვევით აღმოჩენილ სამარხში[5].

ამ ხანის სამარხებისათვის დამახასიათებელია და მარტო ამ ფენის სამარხებში გვხვდება ე. წ. აღმოსავლურ ქართული ტიპის ბრინჯაოს შედგენილტარიანი[6] (ტაბ. I, 202) და მთლიანდასხმული სატევარი, ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის სატევრებთან განსხვავებით ტარზე დაბალი თავით[7] (ტაბ. I, 200, 201), ბრინჯაოს სატეხი[8] (ტაბ. I, 193) და ბრინჯაოს ე. წ. აღმოსავლეთამიერკავკასიული ტიპის ცული[9], რომელიც მომდევნო ხანის ამ ტიპის ცულებთან შედარებით, უფრო მასიურია და უფრო მაღალი და წვეტიანი ფრთები აქვს[10] (ტაბ. I, 192). სამკაულიდან ამ ფენისათვის დამახასიათებელია: სარდიონის კასრისებური და ნუშის კურკისებური დიდი ზომის მძივები[11] (ტაბ. I, 198).

ამ ფენის სამარხისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მოკლეშვერილიანი ირმის რქის ძირები[12] (ტაბ. I, 199), სოკოსებურთავიანი ბრინჯაოს მასიური საკინძები[13] (ტაბ. I, 205) და ცილინდრისებური ძვლის მძივები[14] (ტაბ. I, 196).

---

[1] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1914, გვ. 56—58, 63.

[2] იქვე, გვ. 64.

[3] გ. ნიორაძე, არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIII—B, თბილისი, 1944, გვ. 183. ტაბ. II, სურ. d.

[4] Б. А. Куфтин, დასახელებული ნაშრომი, გვ. 67.

[5] ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, იხ. № 7—47:4.

[6] ორმოსამარხები № 44 (სამხრეთი უბანი).

[7] ორმოსამარხები №№ 87, 88, 240.

[8] ორმოსამარხი № 240.

[9] ორმოსამარხი № 240.

[10] დ. ქორიძე, თბილისი, არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1955, გვ. 155, 169, 170, ტაბ. XXVII, 3.

[11] ორმოსამარხები №№ 219, 247 და სხვ.

[12] ორმოსამარხები №№ 87, 88, 240.

[13] ორმოსამარხები №№ 87, 240, 44 (სამხრეთი უბანი).

[14] ორმოსამარხები №№ 240, 244 (სამხრეთი უბანი).

ყველა ეს ნივთი დამახასიათებელია აგრეთვე გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის სამარხებისათვისაც.

ამ ხანის სამარხებს ჩვენ, დაახლოვებით, ძვ. წ. XIII—XII სს. ვათარიღებთ. ამ ფენის ხანგრძლიობაზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ მასში გამოიყოფა ქრონოლოგიურად ერთმანეთის მონაცვლე რამდენიმე სამარხი. ასე მაგალითად: ამ ფენის სამარხებიდან ყველაზე ადრეულია ე. წ. აღმოსავლურ-ქართული ტიპის შედგენილტარიანი სატევრის შემცველი სამარხი. შედარებით უფრო გვიანი ხანისაა მთლიანადსხმული სატევრების შემცველი სამარხები. მთლიანადსხმული სატევრებიან სამარხებიდან კი ყველაზე გვიანდელად № 240 ორმოსამარხს ვვარაუდობთ.

შედგენილტარიანი სატევრების ადრეულობაზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ ამ სატევრის შემცველ კომპლექსებში ყველგან გვხვდება უფრო ადრეული ხანის სამარხებისათვის დამახასიათებელი ნივთები. ასე მაგალითად: სამთავროს სამაროვანის სამხრეთ უბანზე აღმოჩენილ № 44 ორმოსამარხში ჩვენ ვხვდებით თავხვია საკინძს (ტაბ. I, 204), ნავთლუღში აღმოჩენილ სამარხში—ბრინჯაოს მასრაგახსნილ შუბისპირს და თავხვია საკინძს[1], გოსტიბეში აღმოჩენილ სამარხში კი—მასრაგახსნილ შუბისპირს[2] (ტაბ. I . 224). უფრო მოგვიანო შუბისპირებიდან განსხვავებით ნავთლუღში და გოსტიბეში აღმოჩენილ შუბისპირებს მასრა ჭედვის საშუალებით აქვს მორკალული. როგორც გ. ლომთათიძე შენიშნავს, შედგენილტარიანი სატევრების ადრეულობაზე უნდა მიგვითითებდეს აგრეთვე ამ სატევრის კონსტრუქციაც.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ფენის სამარხების თანადროულ ძეგლებიდან აღსანიშნავია: სოფ. ბეშთაშენთან, გერიაკ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე[3], ნაძალადევში, ნავთლუღში[4] და შილდაში აღმოჩენილი სამარხები, და სასირეთსა[5] და კავთისხევში[6] აღმოჩენილი ე. წ. განძები.

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის სამარხების განხილვა ჩვენ მიზანს არ წარმოადგენდა. აღვნიშნეთ მხოლოდ, რომ ტ. ჩუბინიშვილის მიერ ამ ფენისათვის მოცემული თარიღები (ძვ. წ. XV—XIV სს.), ჩვენ ძირითადად მართებულად მიგვაჩნია[7].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამთავროს სამაროვანზე გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ეპოქათა ორმოსამარხების დათარიღების დროს ვითვალისწინებთ სხვა თანადროულ ძეგლებსაც, მაგრამ ჩვენი წერილის მოცულობა რაკი იმთავითვე განსაზღვრული იყო ამ მასალის ილუსტრირება ვერ შევძელით.

---

[1] დ. ქურიძე, გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლუღი), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII—B, თბილისი, 1955, გვ. 155—156, ტაბ. XXVII, სურ. I, 5.

[2] ტ. ჩუბინიშვილი, გოსტიბეს ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბილისი, 1950, გვ. 9, სურ. 16.

[3] Б. А. Куфтин, დასახელებული ნაშრომი, გვ. 65—75.

[4] დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1955, გვ. 153—164. ო. ტყეშელაშვილი, 1955 წ. თბილისში წარმოებული არქეოლოგიური დაზვერვების ანგარიში (ხელნაწერი).

[5] G. Nioradze, Der Verwaharfund von Kvemo-Sasirethi (Georgien, Raion Kaspi). ESA, VII, Helsinki, 1932, გვ. 82—97.

[6] დ. ქორიძე, დასახელებული ნაშრომი, ტაბ. XXVII, სურ. 3—6.

[7] Т. Н. Чубинишвили, К истории культуры раннего этапа позднебронзовой эпохи Шида Картли, Автореферат диссертации, Тбилиси, 1954, стр. 16—17.

რადგან ჩვენ მიზანს წარმოადგენდა სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხების ქრონოლოგიური გამიჯვნა ამიტომ ბუნებრივია, ხაზს ვუსვამდით იმ მოვლენებს და ნივთიერ ძეგლებს, რომლებიც ცალკეული ქრონოლოგიური ფენის გამოყოფის საშუალებას გვაძლევდა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ჩვენ მიერ განხილულ ფენებს გარდა განმასხვავებელი ნიშნებისა აქვს საერთო ნიშნებიც, რომლებიც აკავშირებს არა მარტო ბომიჯნავე, არამედ ყველა მოცემულ ქრონოლოგიურ ჯგუფს. პირველ რიგში აღვნიშნავთ დამარხვის საერთო წესს (იშვიათი გამონაკლისის გარდა მიცვალებულებს მარხავდნენ თავით აღმოსავლეთით, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში); გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ყველა ჩვენ მიერ გახილულ ფენაში გვხვდება ერთი ტიპის ნივთები, როგორიცაა: სპილენძის ფურცლისაგან დამზადებული სამკუთხა იარიუპირები, ბრინჯაოს ჩქიფები, ბევრი საბის კერამიკული ნაწარმი და სხვ.

ჩვენ მიერ განხილულ ფენებს შორის არსებული საერთო ნიშნები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათ ბორის ქრონოლოგიურ ხარვეზის უქონლობაზე და სამთავრული კულტურის ერთიანობაზე.

ამგვარად, სამთავროს სამაროვანზე გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხების შესწავლის შედეგად ჩვენ გამოვყავით ქრონოლოგიურად ურთიერთმოხაცვლე ხუთი ფენა: 1) ძვ. წ. XIII—XII სს., 2) ძვ. წ. XI—X სს., 3) ძვ. წ. IX ს.—ძვ. წ. VIII ს. დასაწყისის, 4) ძვ. წ. VIII ს.—ძვ. წ. VII ს. პიველი ნახევრისა და 5) ძვ. წ. VII ს. პირველი ნახევრის—ძვ. წ. VI საუკუნის[1].

რა თქმა უნდა შემდგომი კვლევა-ძიება და აღმოჩენები ბევრ ახალს შეიტანს გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღების საკითხში, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული შრომა ერთგვარ დახმარებას გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს.

Р. М. АБРАМИШВИЛИ

К ВОПРОСУ О ДАТИРОВКЕ ПАМЯТНИКОВ ЭПОХИ ПОЗДНЕЙ БРОНЗЫ И ШИРОКОГО ОСВОЕНИЯ ЖЕЛЕЗА, ОБНАРУЖЕННЫХ НА САМТАВРСКОМ МОГИЛЬНИКЕ

Резюме

Комплексное изучение погребального инвентаря самтаврского могильника, с учетом стратиграфического расположения погребений (табл. II, III) и типологического развития отдельных предметов, позволило дать относительную хронологию самтаврских грунтовых погребений эпохи поздней бронзы и широкого освоения железа; учитывая данные относительной хронологии и проводя параллели между отдельными предметами Самтаврского могильника и уже относительно точно датированными памятниками, становится возможным дать и абсолютную хронологию этих погребений.

Установлено, что друг за другом следует пять хронологических слоев.

Первый слой датируется, приблизительно, XIII—XII вв. до н. э. Характерными предметами этого слоя являются: бронзовые кинжалы с составными (табл. I, 202) и цельнолитыми рукоятками т. н. восточно-грузинского типа, с низкими головками на рукоятке (табл. I, 200—201),

[1] ამ ფენების გამოყოფის დროს ჩვენ ვერ შევძელით გაგვეთვალისწინებინა კერამიკული მასალა, რადგან კვლევის ამ საფეხურზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე თიხის ჭურჭელს, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ კერამიკაში ამა თუ იმ ფენისათვის დამახასიათებელი ნიშნები ვერ შევამჩნიეთ.

бронзовые долота (табл. I, 193), сердоликовые рубленные (табл. I, 197), округлые и крупные бочковидные и миндалеобразные бусы (табл. I, 198), костяные бусы (табл. I, 196) и др. В этом слое выделены несколько следующих друг за другом хронологических комплексов. Так, например: комплексы, содержащие кинжалы с составной рукояткой (грунт, погреб. № 44, южный участок) более ранние, чем комплексы, содержащие этого же типа цельнолитые кинжалы (грунт. погреб. № 87, 88, 240, северный участок).

Второй слой, который относится к переходной эпохе от бронзы к железу, датируется, приблизительно, XI—X вв. до н. э. Характерными предметами этого слоя являются; бронзовые мечи с закругленными (табл. I, 155) и усеченными концами (табл. I, 154), бронзовые кинжалы с высокими головками на рукоятке (табл. I, 182—184), длинные железные мечи с несохранившимися рукоятками (табл. I, 152) и др.

В этом слое выделяются тоже хронологически друг от друга следующие комплексы. Так, например: самыми ранними являются погребения, содержащие бронзовые мечи с закругленными концами (грунт. погреб. №№ 56, 77, 96б, 152, северный участок), за ними следуют погребения, содержащие бронзовые мечи с усеченными концами (грунт, погреб. №№ 208, сев. участок и 591, Фр. Байерна), а самыми поздними являются погребения №№ 51, 211 (сев. уч.), содержащие длинные бронзовые кинжалы.

Третий слой датируется, приблизительно, IX в. до н. э.—началом VIII в. до н. э. С этого времени начинается эпоха широкого освоения железа. Характерными предметами являются: железные мечи с бронзовой рукояткой, повторяющие формы рукояток бронзовых мечей (табл. I, 134, 138), железные листовидные (табл. I, 118, 133) и т. н. ганджа-карабахского типа кинжалы (табл. I, 146), железные топоры т. н. колхидского типа (табл. I, 195) и др.

Четвертый слой датируется, приблизительно, VIII в. до н. э.—первой половиной VII в. до н. э. Характерными предметами этого времени являются длинные железные мечи (табл. I, 96—102, 116—117), разного типа железные кинжалы (табл. I, 82—89), бронзовые и железные стрелы т. н. восточнокавказского типа (табл. I, 107—110, 114—115), пятигранные сердоликовые бусы (табл. I, 74) и др.

Пятый слой датируется, приблизительно, второй половиной VII в. до н. э.—VI в. до н. э. Этот слой характеризуется следующими предметами: широкими железными мечами (табл. I, 68), железными акинаками (табл. I, 12), бронзовыми, костяными и железными стрелами т. н. скифского типа (табл. I, 51, 55—66), разного типа железными топорами (табл. I, 4—10), бронзовыми браслетами со стилизованным изображением змей на концах (табл. I, 33—35) и др.

Задавшись целью хронологически разграничить самтаврские грунтовые погребения, мы естественно подчеркивали те явления и вещественные памятники, которые дали возможность обособления отдельных слоев.

Следует отметить, что между означенными слоями кроме отличий имеются и черты общности, связывающие не только смежные, но и все рассмотренные нами хронологические группы. Первым долгом укажем на общность погребального обряда (за редким исключением, покойника хоронили головой на восток на левом или на правом боку, в скорченном положении); далее во всех рассмотренных нами слоях имеются одинакового типа предметы, как-то: треугольные стрелы, изготовленные из медного листа, бронзовые щипцы, многие виды керамических изделий и т. д. Указанное еще раз подчеркивает общность культуры и непрерывную хронологическую последовательность, выделенных нами на самтаврском могильнике слоев.